

შინაჟრი საქმეებში.

№ 12-13.

უკველ-კვირული გაზეთი

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

კვირა, 8 აპრილი 1912 წელი

უკველ-კვირული გაზეთი

შინაჟრი საქმეებში

სახეში № 17). და თბილისში გამომცემელთან სამის პასაჟში, სიმონანგის შუშის მაღაზიაში. გმომე ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	სახ. წლი:	სამი თვე:	ერთი თვე:
4 მანეთი.	2 მანეთი.	1 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ბელის მოწოდების შემთხვევაში და განაწილდეს: თვიდან 2 მ. და 1 ივნის 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაჟრი საქმეებში“ რედაქცია.

შინაჟრი: 1) სარწმუნოებრივ აღზრდის საკითხი ინგლისის პირველდაწყებით სკოლებში—ლ. დ. ჩ—ძესი; 2) მატერიალიზმი; 3) უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა—ლ. კ. ა—ძესი; 4) სახელმწიფო სათათფირო, 5) მარტის სხდომა; 6) ყოვლადსამღებლო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვლიერებლად (გაგრძელება)—ნ.სა; 7) კვირიდამ-კვირამდე; 8) თ. ოტია და დიანის წერილი—თ. ოტია ელისბარისძის დადიანისა; 9) კრების წინასწარი ბეობა—ლ. კ. ანთაძისა; 10) საარაკო უკუღმართი მსჯელობა—თეოდორე ყორღანისი; 11) შინაური მიმოხილვა გულკეთილისა; 12) მიხედვით სოფლის ხალხს—მდ. გ. აბესაძისა; 13) რას გვეწერენ? სოფ. სიმონიანთ ხევი—მდ. ნ. ბაკურაძისი. 14) მადლობის გამოცხადება—ლ. ამბროსი კუხლაშვილისა.

სარწმუნოებრივ აღზრდის საკითხი ინგლისის პირველდაწყებით სკოლებში.

სარწმუნოებრივი აღზრდის საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ინგლისში; ამ საკითხთან დაკავშირებულია ინგლისის სახალხო სკოლის ისტორია და მისი აწინდელი მდგომარეობა.

ინგლისის სახალხო სკოლის ეხლანდელი წყობილება მკიდროდ შეკავშირებულია ეგრეთ-წოდებული „ურთიერთ სწავლების“ (взаимное обучение) შემომღების—დოზზეფ ლანკასტერის სახელთან. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სწავლების ამ გეგმას დიდი ვასივალი ჰქონდა ინგლისში, საიდგანაც ის შემდეგ ევროპის სხვა სახელმწიფოებშიდაც გადავიდა და ბოლოს ჩვენამდისაც კი მოაღწია. დოზზეფ ლან-

კასტერი სარწმუნოებით იყო კვაკერი. *) ამ სექტის მიმდევარი იყვნენ ინგლისში მრავალი სახელგანთქმული და თავგამოდებული საზოგადო მოღვაწენი. იმ დროს, როცა ლანკასტერი სცხოვრობდა, ინგლისის მთავრობა ფრიად მკირე ყურადღებას აქცევდა სახალხო განათლების საქმეს, რის გამო ნიეთიერთ შეუძლებელი ნაწილი მცხოვრებთა მოკლებული იყო სკოლას და მისგან გამომდინარე სიკეთეს. და აი 1718 წელს, ლანკასტერი, გატაცებული ღარიბ კლასების განათლების მხურვალე სურვილით, აარსებს ლონდონში პირველ სკოლას ღარიბ ბავშვთათვის. სკოლამ მალე დიდი ყურადღება მიიქცია; მას აუარებელი ბავში მოაწყდა, რასაც ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ სრულიად უსახსრო მშობლების ბავშვებს უსასყიდლოთ ასწავლიდნენ. სწავლის მსურველთა რიცხვი იმდენათ დიდი იყო, რომ ლანკასტერი მარტო თავისი საშუალებით ვერ გაუმკლავდა მას, მაგრამ სკოლიდგან ბავშვების ვაშვებას ამჯობინა სკოლაში წინეთ შემოსულ ბავშვების ცოდნით სარგებლობა. ახალ შემოსულთა და სრულიად უციტთა სწავლებას ლანკასტერი ანდობდა სკოლაში ადრე შემოსულთ და რამოდენიმეთ უკვე განსწავლულ მოწაფეებს. ამგვართ ჩაისახა ეგრეთწოდებულ „ურთიერთ სწავლების“ იდეია. პირველ ხანებში ლანკასტერის ცდა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა; მან რამოდენიმე მდიდრების ყურადღებას მიიპყრო, რომელთაც კარგი ძალი ფუ-

ლიც შესწირეს მის სკოლას, ასე რომ 1804 წელს ლანკასტერმა შესძლო მაშინდელ დროს შესაფერად მშვენიერად მოწყობილი სკოლის შენობის აგება. მეორე წელს სახალხო განათლების ეს „ენტუზიასტი“ მიიღო ინგლისის მეფემ, გიორგი მესამემ და გაეცნო რა მის (ლანკასტერის) მოღვაწეობას, აღუთქვა ყოველ წლიურათ თავისი საკუთარი საშუალებიდგან ათასი მანეთის შემწეობა ლანკასტერის გეგმით მოწყობილ სკოლების სასარგებლოთ.

ლანკასტერის მიერ ზემოხსენებულ გეგმაზე დაარსებულ სკოლებს ყოველ მხრივ განვითარების შესწავლა არ შეადგენს ჩვენს მიზანს და თუ ლანკასტერი ვახსენეთ ჩვენი წერილის დასაწყისში, — ეს იმ იდეის გამო, რომლითაც ხელმძღვანელობდა ის თავის სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებაში. როგორც ვსთქვით, თვით ლანკასტერი იყო კვაკერი, ხოლო ამ სექტის მიმდევართა რაოდენობა ინგლისში ყოველთვის იწრაფარგლებში იყო მოქცეული, ამიტომ მის წინაშე სდგება ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხი: თუ როგორ მოიქცეს სჯულის სწავლების საქმეში? სჯულის სწავლება ინგლისში მაშინ, ისე როგორც დღეს, პირველდაწყებითი სკოლის ქვაკუთხედს შეადგენდა. ამიტომ ლანკასტერმა, რომ მის სკოლას გასავალი ჰქონოდა, არა მარტო მის სარწმუნოებრივ თანამოზიარეთა შორის, არამედ მცხოვრებთა ფართო მასსაშიაც, სჯულის სწავლება რომელიმე აღსარების დოგმებს კი არ დაუქვემდებარა; არა, მან ის დაამყარა საზოგადოთ ქრისტიანულ ნიადაგზედ. სჯულის სწავლების ერთად ერთ სახელმძღვანელოდ ლანკასტერის სკოლებში აღიარებულ იქმნა — ბიბლია, განსა-

*) კვაკერები — რელიგიური სექტა, რომელიც პირველად ინგლისში გაჩნდა მე 17 საუკუნეში. მისი პირველი დამფუძნებელი არის გიორგი ფოკსი; დაიბადა 1624 წელს. საღმრთო წერილის ღრმა დაკვირვებამ დაარწმუნა ის, რომ ჰეშმარტება იმყოფება არა რომელიმე აღსარების ეკლესიაში, არამედ ყოველი მორწმუნე ადამიანის გულში. ჰეშმარტებას ის უწოდებს შინაგან სინათლეს, — ღვთის ხმას. ეს ხმა ახალ სარწმუნოებრივ ჰეშმარტებას კი არ გვამცნებს, რადგან ეს ჰეშმარტება თელათ საღმრთო წერილშია მოთავსებული, არამედ ის არს მოწაშე ყოველ კაცში ქრისტეს არსებობისა, ის გვიჩვენებს სიკეთეს, გვაშორებს ცოდვას და არასოდეს არ ვწინააღმდეგება საღმრთო წერილის აზრს და ხალ გონებას. ჩვენ დროში ეს სექტა გავრცელებულა.

კუთრებით ახალი აღთქმა. რაიმე მწყობრ-პროგრამულ შესწავლას საგნისას აქ ადგილი არ ჰქონდა; ბავშვებს წაუკითხავდენ ბიბლიიდან რომელიმე ადგილს და შემდეგ აუხსნიდენ წაკითხულის ზნეობრივ მნიშვნელობას, დამოუკიდებლათ იმისა, თუ როგორ ხსნიან ამას რომელიმე აღსარების მიმდევარი. დოგმების სწავლებას ამა თუ იმ აღსარების შეთანხმებით ლანკასტერი თვით მშობლებს ავალებდა. სარწმუნოებრივი აღზრდის ასეთს მიმართულებას საქმათ ბევრი მიმდევარი და თანამგრძნობი აღმოუჩნდა, ასე რომ 1808 წელს ინგლისში სდგება საზოგადოება, რომელიც თავის მიზნათ ისახავს ლანკასტერის გეგმით შკოლების დაარსებას. ეს საზოგადოება პირველათ შემდეგი სახელწოდებით მოველინა ქვეყანას: „ლანკასტერის სისტემით ღარიბთა შორის განათლების განმავრცელებელი ბრიტანიის საზოგადოება“. შემდეგ, როცა „ურთიერთ სწავლება“ დაგმობილ, უარყოფილ იქმნა, ამ საზოგადოებამ სახელიც გამოიკვალა, მას დაერქვა „ბრიტანიის სახელმწიფოში და საზღვარგარეთ შკოლების დამაარსებელი საზოგადოება“ ანუ უფრო შემოკლებით „ბრიტანიის საზოგადოება“. ამ უკანასკნელი სახელწოდებით ეს საზოგადოება დღესაც განაგრძობს არსებობას. მან დაარსებისთანავე არა ჩვეულებრივი სასიცოცხლო უნარი და ფხა გამოიჩინა; ერთი წლის განმავლობაში მოახერხა 90 შკოლის დაარსება. შემდეგ „ურთიერთ სწავლების“ განდევნისა, ამ შკოლების განმასხვავებელი ნიშანი იყო ზემოხსენებულ ნიადაგზე სჯულის სწავლება.

ამ საზოგადოებას შესანიშნავი ზრდა და წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩა, რა თქმა უნდა, ინგლისის სახელმწიფო ეპისკოპალურ ეკლესიის სამღვდლოების მიერ. ეს სამღვდლოება უკმაყოფილოდ უცქეროდა „ბრიტანიის საზოგადოების“ შკოლებში ყოველ დოგმებს დაშორებულ საღმრთო სჯულის სწავლებას. ასეთ სწავლებას ის (ინგლისის სამღვდლოება) სთვლიდა შემცთარათ, მისი აზრით სჯულის სწავლება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ „კონ-

ფესიონალურ*) ნიადაგზე. ასეთ მიმართულებას ის მტკიცეთ ადგია დღესაც. აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ ამ სამღვდლოებამ სრულიად არ ისარგებლა თავისი ოფიციალური მდგომარეობით მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად; მას შეეძლო „ბრიტანიის საზოგადოების“ შკოლების წინააღმდეგ მთავრობა აემხედრებია, მაგრამ ის ამის ნაცულად თავისი შეხედულების განსახორციელებლათ აარსებს მსგავსსავე საზოგადოებას. და აი, 1811 წელს კონტებერის არქიებისკოპოზის მეთაურობით უკვე სრულიად ჩამოყალიბდა ინგლისის ხალხის განათლების ისტორიაში შესანიშნავი „ეპისკოპალურ ეკლესიის სწავლის თანახმათ ღარიბთა შორის განათლების განმავრცელებელი ნაციონალური საზოგადოება“. თუ როგორ მალე გაშალა ფრთა ამ საზოგადოებამ, სჩანს იქიდან, რომ ერთი წლის განმავლობაში მან 50 შკოლა მოაწყო 9000 მოწაფით. ხოლო მეორე წელს მის გამგეობაში 230 შკოლა იყო თითქმის 40,000 მოწაფით. აქვე არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ და აღუნიშნავი დეტალოთ ინგლისის საზოგადოებრივი ატმოსფერის ის დამახასიათებელი მოვლენა, რომ ორივე ზემოხსენებული „საზოგადოება“, თავის შკოლებს ინახავდა მხოლოდ თავის საშუალებით და შემოწირულებით, მთავრობისგან ერთ გროშსაც არ ღებულობდა კარგა ხანს. საქმის ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა დიდ საარჩევნო რეფორმამდე, რომელიც 1832 წელს მოხდა. ამ რეფორმის შემდეგ, როგორც მთავრობა, აგრეთვე ფართო საზოგადოებაც რწმუნდება, რომ ხალხის განათლების საქმის რივიანათ მოწყობით და ნაყოფიერათ წარმართებისათვის არ კმარა მარტო კერძო ინიციატივა, საჭიროა ამ ფრიად სასარგებლო და პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებრივ საკითხს მთავრობამაც დიდი ყურადღება მიექციოს, როგორც ნიეთიერი დახმარებით, აგრეთვე შესაფერისი საშკოლო კანონების გამოცემით. მთავრობამ გადასწყვიტა კიდევ სახალხო შკოლების სასარგებლოთ ყო-

*) კონფესიონალური — სასტიკათ შეთანხმებული ამა თუ იმ ეკლესიის სწავლასთან.

ველწლიური სუბსიდის (დახმარების) დაარსება, მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა, მას ანგარიში უნდა გაეწია იმ საკითხთან, თუ როგორ მოიქცეს სჯულის სწავლების საქმეში. როგორც ვიცით, ღარიბ ქვეშევრდომთა განათლების საქმეს სათავეში უდგა ორი ზემოხსენებული „საზოგადოება“ — „ბრიტანიის და „ნაციონალური“. პირველს ზურგს უმაგრებდა ინგლისში სხვადასხვა აღსარების მიმდევართა საკმაოდ მოზრდილი რიცხვი, ხოლო მეორეს — სამღვდელთა, უმაღლესი სფეროები, ბურჟუაზიის დიდი ნაწილი, თითქმის თელი გლეხობა და ქარხნის მუშათა უდიდესი ნაწილი. ცალმხრივობის ასაკილებლად და უხერხული მდგომარეობისაგან გამოსასვლელათ მთავრობა ნეიტრალურ¹ გზას დაადგა: მან „სუბსიდია“ დაუნიშნა ორივე „საზოგადოების“ შკოლებს, ხოლო მათი შინაგანი ორგანიზაცია ხელუხლებლივ დასტოვა. ამგვართ ორივე „საზოგადოებამ“ გაიძლიერა თავისი არსებობის საშვალეება სჯულის სწავლებაში თავისი „პოზიციის“ დაუკარგავათ. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენათ იზრდებოდა მთავრობის მიერ სახალხო განათლების საჭიროებისათვის გადადებული თანხა. ამ გარემოებამ კი გამოიწვია მთავრობის ჩარევა შკოლების მართვა-გამგეომში. ეს ჩარევა გამოიხატა სახალხო შკოლების ინსპექტორების დანიშვნით. ამ ინსპექტორებს მიუცათ უფლება შკოლის ცხოვრების კონტროლისა როგორც სწავლა აღზრდის, აგრეთვე მართვა-გამგეომის მხრით, გარდა სჯულის სწავლების მოწყობისა. ამ საგნის სწავლება და მისი ასეთს თუ ისეთს ნიადაგზედ დაყენება თელათ დამაარსებელთა უფლებაში რჩება. მთავრობა განსაკუთრებით ამ საგნისთვის არც არაფერს სდებს და არც მის განხილვაში შედის, თუ რომელი გეგმით მიმდინარეობს მისი სწავლება. ასეთ კალაპოტში მიმდინარეობდა ინგლისში სარწმუნოებრივი განათლების საქმე 1870 წლამდე. ამ წელს ინგლისის სახალხო განათლების ისტორიაში ახალი საშკოლო კანონის გამოცემით ძირითადი ცვლილება ხდება, რომელსაც ჩვენ იმდენათ შევეხებით, რამდენათ

თაც იგი სჯულის სწავლების საკითხს სწვდა. ამ ახალი კანონით ინგლისში გარდა იმ შკოლებისა, რომელნიც არსებობდენ ზემოხსენებული ორი „საზოგადოების“ მფარველობის ქვეშ, გაჩნდენ ახალი შკოლები, რომელთა დაარსება და მოწყობა უნდა ეკისრებია ადგილობრივ საშკოლო მთავრობას. ეს საშკოლო მთავრობა ანუ საშკოლო კომიტეტები, როგორც მას შემდეგ ეწოდა, შკოლების შესახებ საშვალეებას ლებულობს, როგორც მთავრობისაგან, აგრეთვე ადგილობრივ წყაროსაგან, რომელიც სდგება მცხოვრებთაგან საშკოლო ბეგრის სახით შეკრებილ ფულებისაგან. როგორ მოეწყოს ამ არსებობისადმი ახლად მოწოდებულ შკოლებში სჯულის სწავლება, აი საკითხი, რომელმაც აალაპარაკა მოაზრე ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა. წინასწარი ბრძოლა და აგიტაცია, რომელიც ამ საკითხის გამო პრესასა და პარლამენტში იყო გამართული, სწარმოებდა ორი უმთავრესი მიმართულების შორის. ერთი მიმართულების მომხრენი მოითხოვდენ საყოველთაო, უსასყიდლო და წმიდა საერო შკოლას, რომლისგან სრულათ უნდა განდევნილიყო სარწმუნოებრივი სწავლება. მეორე მიმართულების წარმომადგენელნი კი, ეთანხმებოდენ რა პირველთ საყოველთაო და უფასო პირველდაწყებით სწავლების დიად მნიშვნელობასა და საჭიროებაში, მოითხოვდენ სახალხო შკოლის თელათ ანგლიკანურ სამღვდელთაგან ხელში გადასვლას, — რომ ყოველ შემთხვევაში, სახალხო შკოლის მოწაფეები ლებულობდენ სარწმუნოებრივ აღზრდასა და განათლებას იმ სარწმუნოებრივ აღსარების თანახმათ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. ძნელი შესათანხმებელი შეიქმნა ეს როი მიმართულება; ეს გარემოება კი ჰბადებდა შიშს, რომ მას მოჰყვება თელი კანონის დამარხვა და მით განათლების ჩარხის ერთ წერტილზე შეჩერება. მაგრამ ინგლისელების საღმა აზრმა და პრაქტიკულმა ფხიანობამ ამ შემთხვევაშიც გაიმარჯვა: პარლამენტნი ლებულობს კანონს, რომლის ძალითაც სჯულის სწავლების საკითხი თელათ გადადის ადგილობრივ საშკოლო მთავრობის, ანუ საშკოლო კომიტე-

ტის სრულს კომპეტენციაში. ამ კომიტეტებს მიეცა უფლება შემოიღოს სჯულის სწავლება მათ მიერ დაარსებულ სკოლებში, თუ განდევნოს ის სრულიად. ამ ახალი კანონის ცხოვრებაში გატარებამ ცხადჰყო, თუ როგორ ღრმად აქვს გადაშლილი ფესვები სარწმუნოებრივ გრძობას ინგლისის ხალხის ყოველ ნაწილში განურჩევლათ სოციალურ მდგომარეობისა. დღიდან ამ კანონის განხორციელებისა არც ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ კომიტეტებს თავის სკოლებში სჯულის სწავლება არ შემოეღოს. პირიქით, ყველა კომიტეტები ამ საგნის სწავლებას გაორკეცებული ყურადღებით მოეპყრო, მხოლოდ „კომიტეტების“ სკოლებში სჯულის სწავლება დაწესდა საზოგადო—ქრისტიანულ საფუძველზე, და არა კონფესიონალურსა, და სწავლება მისი დავალებული აქვთ თვით მასწავლებლებს, რომელთა სასახელოთ უნდა ითქვის, რომ ისინი ჩინებულ მუყაითობას და ცოდნას იჩენენ ამ საქმეში. რადგან სჯულის სწავლება ახალ სკოლებში ისეთს სუფუძველზედ დამყარდა, რომელიც არაფრით არ განსხვავდებოდა ცნობილი ლანკასტერის გეგმისაგან, ამიტომ „ბრიტანიის საზოგადოებამ“ თავისი სკოლები გადასცა „სასკოლო კომიტეტებს“ და თავისი მოღვაწეობა გადაიტანა საოსტატო სემინარიების დაარსებასა და მათ გონივრულათ მოწყობაზე.

მლ. დო—ტი ჩხაიძე.

შემდეგი იქნება.

მატერიალიზმი. ¹⁾

(გაგრძელება.)

მატერიალიზმის სუსტ მხარეთ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მისი დამოკიდებულება ბუნებასთან. აქ ემჩნევა მას სრული არქონა გულითალობისა ან სიმპატიისა. ბუნება წარმოდგენილი აქვს მას, როგორც უთანასწორო და ხანდისხან შენებელი შედეგი ბრმა ძალების მოქმედებისა. მატერიალისტს ძრიელ ცოტა გაეგება აგრეთვე დედაკაცის და ბავშვის საკითხებში.

¹⁾ იხ. „ზინ. საქ. № 9.

ამით ჩვენ სრულიად არ გვინდა ვსთქვათ, რომ მას (მატერიალისტს) არ შეუძლია კაი ქმარი ან მამა იყოს; კაცი არასოდეს არ არის არც ისე კარგი და არც ისე გლახა, როგორც არის მისი თეორია; გარნა თუ რომელიმე მატერიალისტი საზღვრავს დედაკაცს, როგორც კაცობრიობის მოდგმის დედალს, და თუ მეორეს უკერს, რატომ არის, რომ დედაკაცი გიყვება სიხარულით, როცა მისი მუცლიდან გამოსული ერთი ლუკმა ხორცი ჭყავილს დაიწყებს, აქედგან არ სჩანს არავითარი შეგნება სამარადისო დედაკაცობისა (женственность) ან კიდევ ყრმის სიცოცხლის საიდუმლოებისა.

მატერიალისტი არ გრძობს არავითარ სურვილს ბუნების გამშვენების და გაუნჯობებისას; სამწუხარო სანსხავია, როგორ თანდათან სცილდება იგი ბუნებას ღვთის უარყოფით, ხოლო შემდეგ, ჯერ შეუგნებელათ, მერმე კი შეგნებულათ, ცდილობს ხელოვნური და მყვირალა ფრაზებით შესცვალოს იგი.

მატერიალიზმი იმდენზე სცილდება ქმნილებას, რომ იგი უარყოფს ბუნებაში ყოველგვარ კანონიერებას. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ქვეყნიერობა არსებობს, იმის დამამტკიცებელია, რომ იგი კანონიერთაა მოწყობილი; ეს თუ ასე არ ყოფილიყო ქვეყნიერობა ერთ წუთსაც ვერ შეინარჩუნებდა თავის თანასწორობას და დაინგრეოდა. ერთი რომელიმე პატარა ვინტიც რომ შეიცვალოს ამ დიდებულ შენობაში, მაშინ იგიც და ჩვენი არსებობაც საფრხეში ჩაცვივდებოდნენ. ცოტა ზომიზე მეტი მყავბადი ჰაერში, ხამი (прѣсный) წყლის მაგიერ ზღვის წყალი, ასი გრადუსი განსხვავება ჰაერში და... გათავდა, ჩვენ ყველანი მოვისპობით და მთლათ თუ არა ნახევარი დედამიწა მაინც მოკვდება. ქვეყანა რო წინათ განძრახული პლანისა და კანონისამებრ არ იყოს შექმნილი, მაშინ ჰაერი არ ივარგებდა სასუნთქავათ და არც ჩვენი ფილტვები გამოდგებოდა ჰაერისთვის. წინათ განზრახულ პლანისა და კანონის უარყოფა იმის უარყოფას ნიშნავს, რომ თვეზი შექმნილია წყალში საცხოვრებლათ, ფრინველი—ჰაერში, რომ თვალები მხედველობისთვის

გვასხია, ყურები—სმენისთვის, ხელები—რისმე ასაღებად და ფეხები სასიარულოთ.

აი რას ამბობს შოპენგაუერი ქვეყნიერობის პლან და მიზან შეწყობილობაზე: „თუ ჩვენი არსებობა ქვეყნიერობის უკანასკნელი მიზანი ყოფილიყო, ეს იქნებოდა თვით უფინიანესი მიზანი, რომელიც ოდესმე არსებულა, სულ ერთია ჩვენ, თუ ვინმე სხვამ, დაგვისუა იგი“. იმავე აზრით ლაპარაკობს ფლამარიონი თავის მეგობრის მარბონის ცხედრის წინ: „ბატონებო! თუ ეს ცხედარი ჩვენი არსებობის უკანასკნელი სიტყვა და მიზანია, მაშინ მთელ ქმნილებას აზრი არ ჰქონია და დაუსრულებელი მსოფლიო ყველა მისი მზე და მთვარეებით, ყველა თავის ქვეყნიერობით, ყველა თავის იმედებით უფრო ნაკლებათ მიზან-შეგუებული ყოფილა, ვიდრე ძალისა ან ქიანქველას მოქმედება; ამ უკანასკნელს კი ექნებოდა მიზანი, ხოლო ბუნებას არაფერი!“. მაგრამ მიზნის დაგვარობა გულისხმობს ცნობიერ ნებას,—და ამნაირათ ძალაში რჩება ცნობილი თქმულება: „მე მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, რომ ეს ქვეყანა თავის თავად გაჩნდა, თუ მოხდება, რომ რამოდენიმე ათასი ერთმანეთში შერეული ლითონის ასოები თავის თავად დაწყობიან ილიადათ ან ოდისეიათ“.

მატერიალურ მიზნის დაგვარობის უარყოფაზე კიდევ უფრო დაუსაბუთებელათ წარმოგვიდგება სულიერ მიზნისდაგვარობის უარყოფა მსოფლიოში; მატერიალიზმს არ სწამს, რომ სიცოცხლე არის უმაღლესი სიკეთე, ხოლო უდიდესი უბედურება არის ცოდვა, რომ ყოველი ცოდვა შურისძიებულ იქმნება; მოკლეთ რომ ვსთქვათ, იგი უარს ყოფს, რომ სიმართლე ამალღებს ხალხს, ხოლო ცოდვა ღუპავს მას; ის უარყოფს მსოფლიოს ღვთიურ ლოდიკას, რომლის წინაშე ქედს იხრიდა იობი და მისი მეგობრები, რომლის შესახებ ლაპარაკობს სოლომონი თავის იგავებში,

თუ ქვეყნიერება, როგორც მატერიალისტები ამტკიცებენ, არა არის რა, გარდა უდაბური, უნაყოფო, უმიზნო და უაზრო მსოფლიო მანქანისა, მაშინ რაღა საქიროა ეგრეთ-

წოდებული სიმართლე? და თუ სიმართლე და უსამართლობა ერთი და იგივეა, მაშინ რაღა სიცოცხლე? ამნაირი აზროვნების მეოხებით მატერიალისტი მწარე პესნიმისტად იქცევა და ეს პესნიმისში მით უფრო ძლიერია, რამდენათაც კეთილშობილური იყო მისი პირველყოფილი განწყობილება. ეს ხშირად შეგვიძლია დაინახოთ მათი სიტყვებისა და ნაწერებისაგან; და რომ ზოგიერთი მათგანი მეტი გულახდილი იყვნენ, ცნობილ გერმანელ კლასიკის მსგავსათ, თუთ აუჩივლდებოდნენ „შინაგან გაქვევებას“. ჩვენ მივმართავთ მატერიალისტებს იმავე უმაღლესი, ინტენსიური ლოდიკით, რომლითაც ცნობილმა ბერძენმა მიმართა თავის მოპირდაპირეს: „შენ გული მოგდის, მაშასადამე მტყუანი ხარ!... აგრეთვე ჩვენც მივმართავთ მათ შემდეგი სიტყვებით: „შენი მსოფლმხედველობა უბედურგყოფს შენ, მაშასადამე იგი ჭეშმარიტი არ არის.“

მატერიალიზმს არ შეუძლია აგვიხსნას რა არის მეცნიერება და რა არის ხელოვნება. პირველს ვერ აგვიხსნის იმიტომ, რომ თავის შეხედულობის ლოდიკურ განვითარების მიხედვით მატერიალისტისთვის სულ ერთია, ეცოდინება რამე თუ არა. მას არ აქვს არავითარი საბუთი სწავლის შეძენის წყურვილის ასახსნელათ რაც ბავშვშიდაც კი იჩენს თავს—კითხვებში: „რა არის ეს, რა ქვია ამას?“

მით უმეტეს არ შეუძლია აგვიხსნას მან ხელოვნება. ხელოვნებას მისთვის ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც ნივთიერების გამოურკვეველ და შეუგნებელ მისწრაფებას მორთულობისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაში საუცხოვოთ გვეჩვენება ის გარემოება, რომ კაცობრიობა მაინც დიდათ აფასებს ამ ხელოვნებას. საიდგან არის, რომ ადამიანები მილიონებს ხარჯავენ გათხუპნულ ტილოს ნაჭრის შეძენისათვის, ათასებს—ლუკის ან პატტის მკირვოდნენ ხმის ამოღებაში,—ხოლო ადამიანები კი საზოგადოთ ფულს ძნელათ ელევინ ხელიდგან. შეისსონიერის გრენადერის სურათში 5,000 ფრანკს იძლევიან მაშინ, როდესაც იმავე გრენადერის ფოტოგრაფიული სურათი ათი შაური ლირს. რაშია აქ საქმე?

აქ ჩვენ მოუწოდებთ მოწმეთ ყველა დროის ლეთისაგან დაჯილდოებულ მხატვრებს, რომლებიც გულის ძგერით, ანთებული სულის კვეთებით, ბედნიერების, პატივის, ვერცხლის და ცხოვრების ყოველგვარ სიკეთის უარყოფით ესწრაფებოდნენ ხელოვნებას, — ჩვენ მოუწოდებთ მათ იმის მოწმეთ, რომ ხელოვნება არის სულ სხვა რამ, რასაც ამ სახელით გულისხმობს მატერიალიზმი. მუსიკოს-არტისტი ვერ უწოდებთ ისეთ კაცს, რომელმაც დიდი ხნის ვარჯიშობით მიახწია მხოლოდ იმ ზომამდე, რომ შეუძლია დაუკრას შესანიშნავი ხმები და „ადვილათ სძლიოს უდიდესი ტექნიკური სიძნელე.“ არ შეიძლება პოეტი უწოდოთ იმ კაცს, რომელიც უთაურად იმოსება, ლომის ფაფარს ატარებს და სწერს ლექსათ სხვადასხვა აზრებს. არა, ყველგან და ყოველთვის მხატვარი შეგვიძლია უწოდოთ ისეთ კაცს, რომელიც უსულო ნივთიერებაში ხედავს მხოლოდ იმ მშვენიერების იდეების გახზორციელების საშუალებას, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევენ, მხატვარი, არტისტი არის ის, ვინც ხედავს ნივთიერებაში სულს, ფორმაში — შინაარსს, საღებავში განწყობილებას, წარსულის ყოველ მოვლენაში — მარადისობის სიმბოლოს. და კაცობრიობაც მადლობელია მისი ამაზე; იგი საუკუნეთა განმავლობაში საზრდოობს მისი ნიჭით, რადგან საჭიროებს იდეებში თავის სულიერ ცხოვრებისათვის და გრძნობს ამას.

თუ ხელოვნების უმაღლეს დარგს — პოეზიას, გადავხედავთ, დაეინახავთ, რომ იგი დამყარებულია სრულიად ანტიმატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე და საზოგადოათ შესაძლებელია მხოლოდ მატერიალიზმის გარეშე. ჰომიროსიდან დაწყებული ფაუსტამდე ყველა პოეტური ნაწერები ამკობენ ერთ და იმავე სამარადისო საღებო იდეებს, კეთილისა და ბოროტის ორ დასაბამთა შრობას, სიმართლისა და სათნოების საბოლოო გამარჯვებას, სულის უკვდავების იდეებს; ამ იდეების გარეშე შეუძლებელია ფიქრი დრამაზე, დაგვრჩება მხოლოდ ტიკინთა თეატრი და არა დრამა. საწყალი Lenau ამბობს: „არსებობენ სამარადისო პრინციპები!

ყოველივე ტრაგიკული დამყარებულია იმაზე, რომ არის რაღაც, რისგანაც ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავახწიოთ.“ ეს იდეები მაჩვენებელი არიან უმაღლესი მშვენიერების წყაროსა, როგორც ამას ვხედავთ ხელოვნების ყველა დარგის ურთიერთშორის თანხმობისაგან; მაგალითად „ნიბელუნგებთა ზედა საგალობელი“ შესაძლებელია მუსიკითაც გამოითქვას და ჩუქურთმულ ხელოვნებითაც გადმოიცეს. ხელოვნება ყოველთვის მატერიალიზმის სამარადისო პროტესტის გამომეტყველად დარჩება. და ამ მატერიალიზმს ჯერ კიდევ არ მიუცია და ვერც მისცემს კაცობრიობას სიტყვის, მხატვრობის და მუსიკის ისეთ მხატვრებს, როგორიც არიან მიქელანჯელო, დანტე და ბახუ. (შემდეგი იქნება)

უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა.

მესამე სახ. სათათბირო უკანასკნელად განიხილავს უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვას. პირველი სამი წლის განმავლობაში ეს ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის ძლიერ ანკვირებდა თვისი მოუწესრიგებლობით. გასაუღლის მრავალი მუხლები განუმარტებელი რჩებოდა, მით უმეტეს, რომ საუწყებო მეურნეობას ორკოფი ხასიათი ჰქონდა. უწ. სინოდის განკარგულებაშია, გარდა სახელმწიფო ხაზინიდან გადაცემული თანხისა, საკუთარი სპეციალური საშუალებანიცა. ეს საშუალებანი, რომელნიც ემატებოდა სახაზინო ფულს, უანგარიშოთ იყო და ამისათვის შეუძლებელი ხდებოდა თავის გართმევა საეკლესიო დაწესებულებათა ეკონომიური მდგომარეობისა. ობერ-პროკურორი ს. მ. ლუკიანოვი სათათბიროს კომისიის სურვილს მიემხრო და უნდოდა ყველასთვის ეუწყებია ყოველივე საუწყებო საშუალებანი. ამისათვის შარშან უწ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვამ შედარებით წინანდელ წლებთან, უფო კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამ წელში ხარჯთ-აღრიცხვის გარეგნული მხარე უფრო გაუმჯობესებულია იმავე ს. მ. ლუკიანოვის შრომით; მისი ნაყოფით ისარგებლა ვ. კ. საბდერმა.

მიუხედავათ ასეთი კარგი გარეგნული ან-

გარიშისა, სინოდის ხარჯთ-აღრიცხვას მიიწოდო ნაკლი აქვს და შესაძლებელია მეტი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარდეს იგი. ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია შარშანდელზე 2,544,501 მ. მეტი. ეს ნამეტანია. ამით კიდევ არ ემაყოფილება სინოდი. გარდა ამისა სასულიერო უწყება სხვადასხვა კანონ-პროექტებით ითხოვს კიდევ 374,000 მანეთს სამგზავრო კრედიტის დეფიციტის დასაფარად, 173,000 საეკლესიო შკოლების მასწავლებელთა საპენსიო კასის დასაარსებლად, რომელი გასავალი მომავალ წელში 700,000 მანეთამდე ავა. თუ ესეთი მოთხოვნებიანი დაკმაყოფილდა, მაშინ სინოდის ბიუჯეტი უფრო მოიმატებს; და თუ კიდევ სხვა პროექტებიც გატარდა, მაშინ ხომ მეტი ხარჯები გავა.

სახ. სათათბირო, საზოგადოთ ყურადღებით ეპყრობა საეკლესიო საქიროებათა და უწინდელ რეჟიმის დროს სახელმწიფო ასე უხვად საეკლესიო დაწესებულებებს არასოდეს არ ეპყრობოდა, მაგრამ ზოგიერთი მუხლები ჯერაც მოუწესრიგებელია და ეჭვებს ბადებენ. ზოგიერთი კითხვები ხარჯთაღრიცხვისა გართულდებულა უქანასკნელი საუწყებო პროექტებით. ამისათვის თუმცა საბიუჯეტო კომისიამ გაატარა, მაგრამ სათათბიროში კიდევ ბევრი შეეკვეცა.

მეტი ყურადღება მიქცეული სამღვდელთა და საეკლესიო შკოლების შესახებ კრედიტის შესახებ, ამ საგნისათვის საჭიროა დამატებითი ჯამი 241 მილიონი მანეთი. 600,000 მანეთის გადადება სამღვდელთა ჯამაგირისათვის თავისთავად უდავოდ დარჩება, მაგრამ აქაა წამოყენებული საკითხები საზოგადოთ კრებულთა უზრუნველ საყოფელ წესების შესახებ, ამის შესახებ სათათბიროს ორი პროექტი უდევს წინ: სასულიერო უწყების პროექტს, რომელიც გატარებულია განმარტებითი ბარათში და სათათბიროს 13 წევრის პროექტი. თვითონ სათათბირომ გამოსთქვა სურვილი საზოგადო გეგმის შედგენაზე ამ საგანზე და წინააღმდეგი იყო მომატებისა. შესაძლებელია ამ შემთხვევაში შეიკლება ის პრინციპებიც, რომლებითაც ხელ-

მღვანელობდენ ამ ეამად სამღვდელთა თვის ჯამაგირის გაწესრიგებაზე.

არა სიმედო მდგომარეობაშია საეკლესიო საშკოლე კრედიტის საქმე. ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი საშკოლე ბადეში საეკლესიო შკოლები გადაეცეს თუ არა სამინისტროს და ამისათვის ახალი კრედიტის გახსნა. ამ საგნისთვის გაურკვეველია სათათბირო უნდა დადგეს წინანდელ თვის გადაწყვეტილებას როგორმე. ახლა გამოთხოვილია საეკლესიო შკოლებისათვის 142 მილიონი მანეთი, ამას მოემატება შარშანდელი კრედიტი ერთი წლით მიცემული, 1 მილიონი მანეთი. აი ამის მიხედვით წარედგინება სათათბიროს საეკლესიო შკოლებისათვის კრედიტის მომატება და როგორ მოიქცევა კი იგი საინტერესოა ვიცოდეთ. მიუხედავად ამისა, თუმცა ამ ბარათში საეკლესიო შკოლებს დიდი უპირატესობა ეძლევა სხვებზე და იცავენ საშკოლე კრედიტს, მაგრამ საშკოლო საქმე საესებით არა ნორმალურადაა დაყენებული. შკოლის ხელმძღვანელად, ერთის შეხედვით, გამოდიან ისეთი პირები, რომელნიც არ შეეფერებიან ამ საქმეს, ნაწილად მათგან მეთვალყურეთა შორის მხოლოდ 11-ია უმაღლესი განათლებით. ისინი ღებულობენ მცირე ჯამაგირს—300-900 მანეთამდე. რასაკვირველია ამ ფულით და ამ ცენზით მომზადებული პირების შოვნა ძნელია. საეკლესიო შკოლის მასწავლებლებსაც ბევრათ არაფრით გაუსწრიათ წინ. უმეტეს ნაწილად მათ აქვსთ გათავებული მეორე კლასიანი შკოლები. ასეთი მოქმედებით საშკოლე საქმე არ აყვავდება და სულაც შესაძლებელია სათათბირომ სამინისტროს გადასცეს ეს შკოლები.

სინოდის ხარჯთ-აღრიცხვა უკმაყოფილოა სასულიერო მასწავლებლების მდგომარეობით. უფრო საყურადღებოა დეფიციტი სასულიერო მასწავლებლის შენობათა: საამშენებლო საქიროებისათვის გამოთხოვილია 1,300 ათასი მანეთი. უწყებას ამდენი ფული არ აქვს და თვის იმედებს იგი სახელმწიფოზე ამყარებს. მაგრამ თვითონ უწყებას მიუძღვის დამნაშავეობა, თუ ამ შემთხვევაში მისი ხმა დარჩება ხმად მღალაღდებელისა უდაბნოსა შინა, რადგან სასულიერო

სასწავლებლებს იგი სხვანაირად ეპყრობა და სხვა გზით უნდა წაიყვანოს. მგონი გაჭირდეს რაიმე თანხის გადადება ამ საგნისათვის.

საზოგადოთ საეკლესიო საქმეს ფერი ეცვალა. ილიოდორეს ეპოპეა; ეპ. გერმოგენის ისტორია, ალექსანდრე—სვირის საქმე, რასპუტინი, ჩურკიკოვი—ყველა ამათ რალაც სხვანაირი სუნი უდის. სახ. სათათბირო სცდილობს ნაბიჯი გადაადგმევის წინ ეკლესიას. მაგრამ საქმით სხვა გამოდის. შარშანდელმა ცდამაც საშკოლო და სამრევლო საკითხში—ამაოდ ჩაიარა. კანსისტორიის შტატებიც კი ლუკიანოვის შემდეგ უკანვე დაიბრუნეს, რადგან არ იყო დასაკმაყოფილებელი. ასეთ პირობებში ბევრს ფრთები შეეკვეცება და ესაა მიზეზი საეკლესიო კრების საჩქაროთ მოწვევისა.

მაგრამ გამოვა რამე სარგებლობა კრებიდან თუ არა? შესაძლებელია კრება მოიწვიონ, მაგრამ უფრო საამდროვო საეკლესიო პოლიტიკის ტენდენციების დასამყარებლად. საზოგადოთ ისეთი იქნება ესეთი კრების მოქმედება, რომ სათათბიროს მოეკლესიენი ვერ მოასწრებენ მის გათვალისწინებას. (РБЧБ, № 62, 1912 წ.)

დ. კ. ა — ძე.

სასჯელმწიფო სათათბირო.

9 მარტის სხდომა.

სახელმწიფოს სათათბიროს 9 მარტის სხდომა ბევრი მხრით არის შესანიშნავი და საინტერესო განსაკუთრებით ყველა რუსის ქვეშევრდომ მართლმადიდებელ სამღვდლოებისათვის, ამიტომ მეტი არ იქნება სავსებით მოვიყვანოთ ამ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები ისე, როგორც გადმოგვცემს გაზ. "Руск. Слово".

ამ დღესო ამბობს გაზ. „P. C.“ კორესპონდენტი, უწ. სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხზე კამათმა უმაღლეს წერტილს მიაღწია გუჩკოვის გამოსვლის გამო. მაგრამ დანარჩენმა ორატორებმაც ბევრი საინტერესო რამ ილაპარაკეს.

ტრუდოვიკმა კროპოტოვმა სხვათა შორის

სთქვა: მღვდლები მოკლებულნი არიან დამოუკიდებელ მსჯელობასო; მღვდელ-მოქმედებისთვის სასყიდლის მოთხოვნა სამღვდლოების მხრით საცთურებას იწვევს ერთა შორისო; ეკლესია არ უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოსო; ტრუდოვიკები სინოდის ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ წავლენ, როგორც წინა წლებში, რადგან ეკლესია არ უნდა ღებულობდეს ფულს სახელმწიფოსაგანო.

მემარცხენე გლეხები ამასთანავე წინადადებას აძლევენ სათათბიროს, განაცხადოს სურვილი, რომ საიდუმლოები და მიცვალებულეზზე წესთაგება უსასყიდლოთ სრულდებოდეს.

(ტაში მარცხნივ).

ე. ევლოლის სიტყვა.

დიდი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა ორატორმა ეპ. გერმოგენის საქმეს. მე მინდა ერთხელ კიდევ ხმამაღლა და გადაწყვეტილათ განვაცხადო, რომ ეპ. გერმოგენის საქმეს არაფერი დამოკიდებულეა არ აქვს მეორე უფრო დიდ საქმესთან, რომელმაც ააღელვა რუსის საზოგადოებრივი აზრი.

თვით ფიქრი იმაზე, რომ სინოდი თავის გადაწყვეტილებაში სარგებლობდა რალაც ბნელ გარეშე გავლენით, საშინელი და შეურაცხყოფელია. კანონიერია თუ უკანონო სინოდის გადაწყვეტილება, უფრო დიდი აქ ის არის, თუ რამდენათ კანონიკურ საფუძველზეა ეს გადაწყვეტილება დამყარებული. მსაჯულემათ აქ არც გაზეთები გამოდგებიან და არც სათათბიროს წევრები. ეპ. გერმოგენს შეუძლია გაასაჩივროს თავის საქმე მხოლოდ ადგილობრივ საეკლესიო კრების წინაშე. ამ მხრით ეპ. გერმოგენის საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს და ცხადი მაჩვენებელია იმისი, თუ რამდენათ საჭიროა და დაუყოვნებლივ მოსაწვევი ადგილობრივი კრება. ეპ. გერმოგენის საქმე დამახასიათებელია იმ მხრით, რომ გვიჩვენებს, თუ სანამდის შეუძლია მიაწიოს სათათბიროს წევრების და საზოგადოთ საერო პირების ჩარევამ ეკლესიის შინაურ საქმეებში. სანამ ამ უსჯულო და უკანონო მისწრაფებას არ მოეღება ბოლო ავტორიტეტის მექონ კანონიურ დაწესებულებების პიროვნებაში, — რუ-

სის ეკლესიის ადგილობრივ კრებაში, მანამდის სახელმწიფო სათათბირო და მისი წევრნი შემთხვევითი მსაჯულები და კანონმდებლები იქმნებოდნენ საეკლესიო საკითხებში, რაც წინააღმდეგია კანონიურ პრინციპებისა. სათათბირო კი, როგორც წმინდა სახელმწიფო დაწესებულება, არსებითად ვერ დადგება წმინდა კანონიურ პრინციპების სიმალეზე, რომლებზედაც დაშენებულია ეკლესიის ცხოვრება.

1905 წლის შემდეგ მართლმადიდებელი ეკლესია ჩაყენებულია ახალ, ძლიერ მძიმე პირობებში. საკანონმდებლო დაწესებულებაში იგი სხვადასხვა მორწმუნეთა და ურწმუნოთა კრების ხელშია მიცემული; მართებლობათა დაწესებულებებში ობერპროკურორის ხმა სუსტად ბგურს. ობერპროკურორის მინისტრთა საბჭოში ყოფნა მძიმე შეტაკებებს იწვევს მისი ორქოვ მდგომარეობის მეოხებით. როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, იგი უნდა წინააღმდეგე ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც წინააღმდეგება მართლმადიდებელ ეკლესიის ინტერესებს, ხოლო როგორც წევრი შეერთებულ მართებლობისა, — იგი თანახმა უნდა იყოს კაბინეტის აზრისა და სდუმდეს. მართლმადიდებელი ეკლესიის თითოეული შვილის სამკმეა ხმამალა და დაუღალავათ მოითხოვდეს რუსეთის საეკლესიო კრების დაჩქარებას.

ა. კ. გუჩკოვის სიტყვა.

მ. გუჩკოვი ჩვეულებრივად თავის სიტყვას ნელი ხმით იწყებს, რომელიც თანდითან ძლიერდება. მე ჯერ კიდევ არასოდეს არ გამოვსულეარ ამ ტრიბუნაზე ასეთ მძიმე გრძობით. სამძიმოთა თანამედროვე პირობებში ლაპარაკი, და სამძიმოთა ლაპარაკი იმ საგნებზე, რომლებზედაც გინდა ლაპარაკი და რომლებზედაც მხოლოდ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ გვაქვს უფლება, გაფრთხილდეთ? ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ შეიძლება მისთვის, რომ სხვები სდუმლან. როცა ჩვენ წინ ძვეს უწ. სინოდის სმეტა, ხოლო ამ სკამებზე სხედან სამართლმადიდებლო უწყების ყოფილი წარმომადგენლები, საჭიროა განსაკუთრებითი სულიერი განწყობილება, ჩემთვის შეუფერებელი, განსაკუთრებული ქკუის მოწ-

ყობილობა, მე ვიტყვი—სულის, ჩემთვის უცხო, რომ იფიქრო საეკლესიო ქონების დაზღვევაზე, ეპისკოპოსთა ჯამაგირების გაერთიანებაზე და თვით ისეთ პირველ ხარისხოვან საკითხებზე, როგორც არის სასულიერო კანსისტორიათა რეფორმა, ანუ ადგილობრივ კრებისთვის შემზადება. ყველა ეს როგორღაც უკუდგებიან, ჰკარგავენ ინტერესს, და გინდა ილაპარაკო, გინდა იყვირო, რომ ეკლესია სასიშარ მდგომარეობაშია და რომ სახელმწიფოც საშიშარ მდგომარეობაშია. თქვენ ყველამ კარგათ იცით, რა მძიმე დროებას განიცდის დღეს რუსეთი. გულის ტკივილით, შიშით ვადევნებთ თვალყურს ყველა მის გადასვლა-გადმოსვლას. ხოლო ამ დრამის შუაგულში არის ძნელად გამოსაცნობი ფიგურა, თითქოს საიქიოდან მოსული ვინმე ან საუკუნეთა სიბნელის ნაშთი; უცნაური ფიგურა XX საუკუნის ნათლით გაშუქებული.

შეიძლება ვინმე სჯულზე ხელ აღებული, შეიძლება სექტანტი, რომელიც ქმნის თავის ბნელ საქმეს, შეიძლება ვიღაც მაწანწალა, „პლუტი“, რემელიც აკეთებს თავის ბნელ წვრილმან საქმეებს. რა გზით მიიღწია ამ კაცმა ცენტრალურ პოზიციას, მოიხვეჭა იმოდენი გავლენა, რომლის წინ დამკირებით ქედს იხრიან სახელმწიფო და საეკლესიო მოხელენი?!

დაფიქრდით მხოლოდ ვინ ოჯახობს სათავეში, ვინ აბრუნებს იმ ღერძს, რომელიც მიათრევს მიმართულების ცვლილებასაც, პირთა ცვლილებასაც, ერთთა დაცემას, სხვათა ამაღლებას. ჩვენ წინ რომ მართოთ მარტო ერთი მოვლენა იყოს, მოვლენა აღზრდილი მისტიციზმისა და ეკზალტაციის ნიადაგზე, ჩვენ შეეჩერდებოდით მის წინ, ჩუმათ, მწუხარებით თავჩაქინდრული, როგორც მძიმე ავათმყოფ ძვირფას ადამიანის წინ. ჩვენ შეიძლება ვიტყვებდით და ვილოცავდით, მაგრამ არას ვიტყოდით. მაგრამ გრიგოლ რასპუტონი¹⁾ მარტოხელი არ არის. ვანა მას ზურგს უკან არ უდგანან მთელი გროვა, ქრელი

¹⁾ ეს ის შავით მოსილი რასპუტინია, რომელიც აშას წინათ თავის გამრყენელ ხნობრივ მოქმედებისათვის ციმბირის შორეულ მონასტერში დაატყვევეს.

და მოულოდნელი კამპანია გაუმაძღარ პატივის-
მოყვარეთა, დაკარგულ უფლებებზე მწუხარეთა,
ბნელი მოსაქნარენი, ჟურნალისტები, ანტრე-
პრენიორები, მოხუცები. ესენი ეჭურჩულებიან
მას, რასაც იგი ეჭურჩულება სხვას.

ეს მთელი კომერციული დაწყებულება,
მოხერხებულათ და წვლილათ (ТОЖКО) დაწყე-
ბული თამაშია, და ამ სურათის წინ ჩვენი მოვა-
ლუობაა ვიყვიროთ გასაფრთხილებელი სიტყვე-
ბით: „ეკლესია საშიშროებას განიცდის და სახელ-
მწიფო საშიშროებას განიცდის“. არაფერ რევი-
ლიუციონურ და სარწმუნოების წინააღმდეგ
ქადაგებს არ შეეძლო ექნა რამოდენიმე წლის
განმავლობაში ის, რასაც მიაღწია უკანასკნელ
დღეების ამბებმა.

და მართალი იყო თავის შეხედულობის
თვალსაზრისით. გეგეჟყორი, რომელმაც სთქვა:
„რასპუტინი სასარგებლოა“, ხოლო მე დაუ-
მატებ: „რაც უფრო გარყვნილია, მით უფრო
სასარგებლოა ბ. გეგეჟყორის მეგობრებისა-
თვის.“

ამ ერთთა აღშფოთებისა და სხვათა ბო-
როტ-სიხარულის წუთებში სად იყვნენ სასუ-
ლიერო და სახელმწიფო მოხელენი?

შეიძლება ბევრი სასოწარკვეთილებით ჩუ-
მათ ხელებს იმტვრევდნენ ან წერილებში და კე-
რძო საუბრებში ანთხევენ მთელ თავის სულის
სიმწარეს. ჩვენ ვიცით სახელდობრ ის იერარ-
ქები, რომლებმაც შეინარჩუნეს მოქალაქობ-
რივი გაბედულება და აღიმადლეს ხმა, რითაც,
შეიძლება, გამოისყიდეს ის მიიმე დანაშაულობა,
რომელიც მათვე იღვეს თავზე. მე არ მივბაძვ
ეპისკ. მიტროფანეს, რომელმაც გაკიცხა ერთი
მათგანი, მე არა მაქვს ჩვეულება ვწიხლო და-
ცემულნი. მაგრამ რათ სდუმან დანარჩენები?
თუ არ იციან, ან თანაუგრძნობენ, ან განრი-
სხვის ეშინიათ და იკაკვებიან? კერძოთ, თქვენ,
ბ. უწ. სინოდის ობერპროკურორო, სად ბრძან-
დებოდით? ნუ თუ თქვენი მოვალეობა არ იყო,
როგორც სახელმწიფოს უმღლესი წარმომად-
გენელისა საეკლესიო საქმეებში, უწინარეს ყო-
ვლისა, აკვამაღლებით ხმა? მიიხედეთ, ვინ გახ-
ლეთ თქვენ ზურგს უკან? ვისი დაყენებული

კანდიდატები (ставленники) შემოის-
ხით გარშემო ან ნება მიეცით შემოესხათ.
თქვენ ხომ იმ პოლიტიკურ ჯგუფს ეკუთვნით,
რომელმაც მონოპოლიათ (საკუთრებათ) გაი-
ხადა სარწმუნოების სიწმიდის და ეკლესიის და
სახელმწიფოს ძირითად საფუძვლების დაცვა?
როცა უნდა გასულიყო სარწმუნოების ელემენ-
ტარული თავისუფლების კანონი, როცა უნდა
გასულიყო კანონი სტარობრადცების შესახებ,
რომელსაც უნდა გაესწორებია საუკუნიდგან
შექმნილი უკუღმართობა, თქვენ წინააღმდეგთა
ჯგუფში გხედავდით. როცა ერთი სარწმუნო-
ებიდან მეორეში გადასვლის გაადვილებით
მართებლობაც და სათათბიროც სარწმუნოების
თავისუფლების მკირეოდენ გარანტიას იძლოდა,
თქვენ გხედავდით წინააღმდეგთა შორის. რო-
ცა დუმას უნდოდა დაემყარებია სახელმწიფოს
უმღლესი ზედამხედველობა საეკლესიო-სამ-
რევლო სკოლებზე, თქვენ არ იყავით, რომ
გვანადგურებდით? თქვენ გართული იყავით
თქვენი უწყების საზღვრების დამრღვევ გარეშე
წინააღმდეგთა ბრძოლაში და თქვენ ვერ შე-
ნიშნეთ ის შინაგანი საშიშროება, ის იარა,
რომელიც ხრწნის ხალხის სულის გულს. კიდევ
მეტე, თქვენ თქვენი სექტანტების წინააღმდეგო-
ბით აწყენინენ მისონერებს. ხოლო ობერპრო-
კურორი სდუმდა. თუ იმანაც არ იცოდა, ან
თითონაც თანაუგრძნობდა, ან კიდევ შიშით
იკრუნჩხებოდა. მე გამიგონია, რომ სიცოცხლე
კაი საქონელია და შემინიშნავს, რომ იმათ
უფრო ეშინიათ თავის მდგომარეობის დაკარ-
გვისა, ვინც დიდი ადგილი ჩაიგდო ხელში.

ვიცი რომ, ყოველთვის საგმირო საქმეებს
ვერ მოვიტხოვთ, მაგრამ არის ცნობილი
მინიმუმი, რომელიც სავალდებულოა პასუ-
ხისმგებელ უფლების მატარებლისათვის. არის
მომენტები, როცა სამსახური ნიშნავს სულ
სხვას, ვიდრე ფარეშობას, როცა მოქალაქო-
ბრივი მოღვაწეობა სავალდებულოთ ხდება, სი-
ნდისის ელემენტარულ მოვალეობათ იქცევა.
1911 და 1912 წლების თარიღქვეშ რუსის მა-
ტიანე ჩასწერს: „ამ წლებში, როცა სინოდის
ობერპროკურორათ დეისტ. ტ. სოვეტნიკი ვ.

კ. საბლერი იყო, მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიაღწია არგაგონილ დამცირებამდე“. დაე ხალხმა იცოდეს, დაე ისტორიამ დაიმახსოვროს, რომ იმ პიძე ხანაში, რომელიც თავს ვადახდა მართლმადიდებელ ეკლესიას და მართლმადიდებელ ხალხს, სინოდის ობერპროკურორმა ვ. კ. საბლერმა არ შეასრულა თავის მოვალეობა! (ცენტრში და მარცხნივ ტაშისცემა, —მარჯვნივ სტვენა).

(საბლერის პასუხი შემდეგ ნომერში).

**ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოკესა-
ურობა სამეგრელოს ეკლესიების და-
სათვალთვლებად.**

(გაგრძელება¹)

ზანის ეკლესიის დათვილიერების შემდეგ მისი მეუფება გამობრძანდა ეზოში და ხალხისთვის დარიგების მისაცემად დაიჭირა მალლობი ალაგი ას წლოვან ცაცხვის ქვეშ. ხალხი სმენად გადაიქცა, ხარბად იჭერდნენ მღვდელმთავრის თვითეულ სიტყვას, და პირისახის ცოცხალი მოძრაობითა და მკერდში მჯიღის ცემით აგრძობინებდნენ გარეშე მაყურებელს, რომ მქადაგებლის მადლიანი სიტყვა გულში სწვდებოდა და კუთხში უჯდებოდა მათ. ქადაგება გათავდა და მთელი ხალხი ძირს დაეშვა, ყველამ დაიჩოქა და ერთ ხმათ შესძახეს: მადლიანი ყოფილხარ და დავგებმარე, ჩვენშიაც ჩამოაგდე მშვიდობა და სიყვარულიო. მღვდელმთავარმა სთხოვა ყველას ფეხზე ამდგარიყვნენ და აეხსნათ საქმე რაში იყო. გამოიჩინა, რომ ამ შეიდი-რეა წლის წინათ ერთი მოწინავე თავადიშვილის ასული მამის დაუკითხავათ გაჰყოლია ცოლად თავისავე მოგვარე თავადიშვილს. ეს დიდათ სწყენია ქალიშვილის მამას, გაურისხავს თავის შვილიც და სიძეც, გამოუცხადებია მეზობლებისთვის, რომ შე აღარც ქალიშვილი მყავს და არც სიძეო, მიუღია ყოველგვარი სასტიკი ზომები, რომ არც ქალმა და არც სიძემ მისი ეზოს მახლობლად არ გაიარონ, აგრეთვე

¹ იხ. „ზინ. საქ. № 9).

სადაც კი იგი დაესწრება ან ქირში ან ღვინოში, იქ მისმა ქალმა და სიძემ ფეხი არ დაადგან. ქალიშვილი კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, იგი არა გრძობს სიღარიბე და გაჭირვებას, მაგრამ რა გემო აქვს სიმდიდრეს, თუ ადამიანი სულით სწუხს თუ კაცს გული უკენის, და სვინდისი აღონებს!

ქალი ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ მშობელი მამა მკვდრათა სთვლის მას, ყოველთვის სწყევლის, ყოველთვის ზიზღით იხსენებს და ახლოს არ იკარებს, ნებას არ აძლევს ფეხი შედგას იმ ეზოში, სადაც მას თავისი ბავშობა გაუტარებია! ესაა მიზეზი რომ ამ საცოდავის თვალზე ცრემლი არ შრება დღე და ღამე, რომ დარდისაგან იღევა და ცოდვით ავსებს მთელ სოფელს--- „შემიბრალეთ, ამომასუთქვინეთ გულ დამშვიდებით და შემარიგეთ მამასთან, ნუ მომკლავთ სასოწარკვეთილებამიო“. მღვდელმთავარს ფეხებქვეშ ჩაუვარდა ეს საბრალოსი ფარსკვლავის მსზგასევი ბავშვით ხელში და მწარე ცრემლის ფრქვევით შეევედრა: „ეს ბავშვი მამამ დამილოცოს, ამას შეურიგდეს, ამას ნუ დამიწყევლის და მე მისი ქირი წამიღიაო“.

ყოვლადსამღვდელომ სთხოვა მასთან თანა მგზავრს ბოქაულს, თავად დადიანს, ეჩვენებია მისთვის ამ ქალის მამა, იგი იქვე მახლობლად აღმოჩნდა და წარუდგა ეპისკოპოსს შენდობის მისაღებად. ყოვლად სამღვდელომ აკურთხა სიბერეში შესული თავადი და დაახლოებით ასე მიმართა:

„საზოგადოთ ჩვენმა ერმა და განსაკუთრებით კი იმ წოდების შვილებმა, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, დიდი პატივისცემა და ხატრის დაჭერა იციან სტუმრისა. მეც, როგორც სტუმარი, და მასთან თქვენი საკუთარი მღვდელმთავარი, გთხოვთ და მაცხოვარი იესო ქრისტეს სახელით გვედარებით, შეირიგეთ ეს თქვენგან გაწირული თქვენი ასული, მიიღეთ იგი, როგორც მოსიყვარულე მამამ მიიღო გონზე მოსული და მონანული უძღვენი შვილი, მიუტევეთ მას ყოველიფერი, რითაც მან გაგარისხათ და ამითი დამიმტკიცეთ, რომ თქვენ ხართ ღირსეული მოწაფე იმისი, ვინც მცნებად და-

გვიდგა ამგვარი შემთხვევების სამოკდაათ შვიდ გზის პატივება. მეციო პატივი, შემისრულეთ ეს პირველი სათხოვარი, გაანთავისუფლეთ ეს თქვენი მეზობლები ზნეობრივი ტანჯვიდან და დამადგინეთ ჩემს სიცოცხლეში თქვენ მუდმივ მლოცველად და ღვთისადმი მავედრებელად“-ო.

მაგრამ მათი მეუფების კატომოყვარულმა თხოვნამ და ქრისტიანული ლობიერებით ავსილმა ვედრებამ ვერ მოალობო გაჯიუტებული თავადის გული; ცივათ და გაუკითხავად მოახსენა მან მაღალ სტუმარს: „მე არაფერი დამიშავებია-რა ჩემი ქალიშვილისთვის, არ გამომიგდია სახლიდან, თითონ მიატოვა ჩემი ოჯახი და შეისრულა ის, რასაც ჩემ ოჯახში ვერ ჰპოულა, იყოს ნება მისი, მე არაფერს არ უშლი, მის საქმეში არ ვერევი, დავიწყებული მყავს და არ მესმის, რას მედავება, რას მიჩივის და რაზედ გაწუხებთ ან თქვენ ან სხვებსა“-ო. ცხადია, ასე გაბოროტებულ კატთან არა გარიგდებოდა რა და მღვდელმთავარი გულნატკენი გაშორდა კრებას. ამისთანა კაცს გამოდგება და თავს იწონებს ქრისტიანობით!

მეტად სამწუხაროა, რომ ამისთანა სისუსტიკის მიმდევარნი სულიერ მამათა შორის არა მცირედნი ყოფილან. ჩვენ რამდენიმე შემთხვევა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ზუგდიდის მაზრის მღვდლები სრულ დესპოტობას იჩენენ თავიანთ სრულ წლოვან და მაღალ განათლებულ შვილებისადმიც კი, როდესაც უკანასკნელები ჰხედავენ არა მამისაგან არჩეული ქალის შერთვას. ასეთი სათაკილო ჩვეულებით ზუგდიდელებს თავიც მოსწონთ—ჩვენ მოვიყვებოდათ, აფხაზების ჩვეულებას არ გავტყავთ, იქ ასე იციანო, იმართლებენ ხოლმე თავს. ცხადია ყველასთვის, რომ უკულტურო აფხაზეთი ვერაფერს ვერ გაანათლებს და ამიტომაც, რომ მისი იდეალების მოტრფილვე ზუგდიდის მაზრის მეგრელებიც ყველაფერში დაბლა სდგანან სენაკის მაზრის მეგრელებთან შედარებით...

ვგონებ, მკითხველმა არ გვიწყინოს, ორიოდვე სიტყვით რომ აღვნიშნო ის გახვიადებული და მეტად გაქიშული ტირილი მიცვალებულზე,

რომელსაც ზუგდიდის მაზრაში დღევანდლამდე ასე მტკიცედ მისდევენ დიდი და პატარა.

ეს ჩვეულება იმერლებსაც ძალიან სწამდათ და იათათ არ დასჯდომია მისი მოსპობა ყოველადსამღვდლო ლეონდის. მაგრამ გონება ფხიზელმა იმერლებმა ჩქარა შეიგნეს ამ ჩვეულების მოსპობის უპირატესობა და ადვილათ დაეთხოვეს მას. გურიაში არც კი დასჭირებია ვისმე ამაზე მეცადინობა ისე მოსპო იგი ხალხმა თავის-თავად.

სულ სხვანაირათაა საქმე სამეგრელოში. აქ ამ ჩვეულებას ჯერ არავინ შეხებია და ისევე უკლებლივ სრულდება, როგორც წარსულ საუკუნეებში.

ერთხელ შემთხვევა მომეცა დავსწრებოდი მიცვალებული მღვდლის ტირილს. შორიდან რომ დავინახე ხალხით გაქედლილი ეზო მიცვალებულისა, სიამოვნებით ამევსო გული: ვიფიქრე დღეობაა და მოზღვავებულ ერს ჩვეულებისაებრ მოულოხენია შეთქი. ერთი მეორეს გადასწონდნენ მკლავებით შეღებილი გოგობიჭები და უდარდელი სიცილ-ყიჟინით სთელავდნენ ფართო ეზოს.

თავი შევყავი თუ არა, ზედ მომარეკეს სამრეკლოდან ჩამოხსნილი, და განგებ ამ შემთხვევისთვის ეზოში შესავალ კართან ჩამოკიდებული ზარი. სხვებთან ერთად მეც შემაჩერეს მაგიდასთან, სადაც მიჩენილი კაცი სწერავს სტუმრების გვარს აღნიშვნით ვინ რამდენი გადაბურა, ე. ი. რამდენი შესაწირავი გაიღო მიცვალებულის ოჯახისთვის. აქ მეცა და სხვებსაც მხრებში ამოგვიდგნენ შავი ფლასებით ჩაცმული კაცები და მეზარეების წინამძღომლობით მიგვიყვანეს ცხედართან, რომელიც ესვენა საგანგებოთ გაკეთებულ სეფაში, ანუ ხის ფოთლიან ტოტებისაგან გაკეთებულ ტალავარში. ორი შემოსილი მღვდელი გამოგვეგება და საცეცხურებით გვიკმის. ჩემმა ამხანაგებმა, როდესაც მიცვალებულის კუბოსთან მივედით, როგორც გამოცდილებმა და ადგილობრივ ჩვეულების მცოდნეებმა, მორთეს კივილი, იტყვიეს შუბლებში და გაჰკიოდნენ ვაჟა, ვაჟას. შენი

მტერი, ჩემო მკითხველო, მე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი! ვერც ტირილი, ვერც კივილი, ვერც თმების ჩეჩვა და ვერც სახის ჭყანვა ვერ მოვახერხე და ვიდექ დაჩოქილი უტვინოსავით. მიწა რომ გამსკდომოდა და ქვესკნელში ჩავმძვრალიყავი, ის მერჩია ჩემს უმგვანო მდგომარეობას. უშველოთ ღმერთმა, მოჩენილმა კაცებმა რამდენიმე წამის შემდეგ ავგწიეს მხრებში და წავგიყვანეს ქირისუფლებთან სამძიბრის სათქმელად; მთელი კუთხე სავსეა შავებში ჩაძვადარი, თმაგაშლილი და მიწაზე ფეხ-მორთხმულად მსხდომარე ქალებით.

აქაც ჩემი უვიცობა გამოცდილმა ამხანაგებმა გამოისყიდეს და როგორც იყო თავი დავაღწიე ცერემონიებს. სხვებთან ერთად შევედი სეფაში, დავნაყრდი და მერე სულ თავისუფლად გავვირეე მოსეირნე ჯარში. (ხალხში).

მოზარეები მიცვალებულის კუბოდან სულ რამდენიმე ნაბიჯზე, დგანან და განუწყვეტლად გალობენ. მათი გალობის კილო ქართლულ სუფრულს წაგავს. ერთს მოზარეს გალობის დროს პირში პაპიროსი შევნიშნე, გამიკვირდა და ჩემ ამხანაგს უთხარი, რა საკადრისია, პაპიროსს რომ უბოლებს მეთქი მიცვალებულს? გამოცდილმა მჭობელმა მითხრა: ნეტავი მაგას იკმარებდნენ, ღვინისაგან გაღეშილები ნეტავი უარესს რასმე არ ჩაიდენდნენ და მაგას ვინ ჩივისო!

კვირიღამ-კვირამდე

როგორც გავიგეთ, მღვდელ. ევ. კვერკველიას, რომელიც ამას წინათ კანტორამ მედავითნის ადგილზე ჩამოიყვანა ოცი ათასი მანეთის გაფლანგვისთვის, პეტერბურგს ჩასულა და სინოდში უჩივლია, ეპ. ლეონიძე უმართლოთ დამითხოვია. ამის თაობაზე სინოდს ექსარხოსისთვის პასუხი მოუთხოვია, ექსარხოსს კი მიუწერია, საქმე მოსპევით, რადგან ეპის. ლეონიძე მავ საქმეში არაფერი დამნაშავეა და მღვდელი კანტორამ დასაჯაო.

როგორც გვწერენ დიდხუთმაბათს ყოვლად

სამღვდლო ლეონიდს ოზურგეთში უნდა ეწერა და ფერხთ ბანა შეესრულებია. მისმა მეუფებამ შარშან ფერხთ ბანა ბათომში შეასრულა. დიდ მისიონერულ მნიშვნელობას აძლევს მისი მეუფება ასეთ იშვიათ შემთხვევის დროს ხალხში მღვდელმთავარის მიერ შესრულებულ მღვდლომოქმედებას.

11 აპრილს ქ. ფოთში დანიშნულია გურიისამეგრელოს სამღვდლოების რწმუნებულთა საეპარქიო კრება.

ხმები დეკ. კ. გაწერილია კანტორას ბლალოჩინობიდან ჩამოუყენებიაო. იმასაც ამობენ დეკანოზი ექსარხოსს ხლებია და დათხოვნის საბუთი მოუთხოვნია, და რადგან არაფერი აღმოჩენილა ისევ ბლალოჩინათ დააბრუნებენო.

ჩვენ სინოდალურ კანტორაში ისე მძიმეთ მიღწის საქმე, რომ დღეს დაწყებული საქმე იქნება მესამე დგმის მოესწროს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საქმეს და საეპარქიო კრებებმა რამე იღონონ, რომ საქმეს დასასრული მოეცეს ან ავით და ან კარგათ. ამ ორი წლის წინეთ გავზავნილი ჩვენი სამარხი კასის წესდება კიდევ არ დაბოლოებულია კანტორის მხრით, მიუხედავად იმისა, რომ მისმა მეუფებამ ყოვლად სამღვდლო ვიორგიმ ახლი შუამდგომლობა აღძრა ამ ორი თვის წინეთ საქმის დასაჩქარებლათ. ასეთი საქმის მიძინება უმოქმედობას აჩვევს და აზანტებს ისედაც უმოქმედო და ზანტ სამღვდლოებას. ეს ძალიან ცუდი მაგალითია ადგილობრივი უმაღლესი სასულიერო მართებლობისაგან.

ამას წინათ ვსწერდით, ცნობილი დეკანოზი რ. დეკანოსიძე ხარაგაულში ორკლასიან საქალებო შკოლის გახსნას აპირებდა. ეხლა, როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, ეს პატიოსანი მამა ამ შკოლას თავის გარდაცვალებულ ქალის მამიკას სახელზე აშენებს, სწირავს შენობას

და საეზოვე ადგილს და თხოულობს მასწავლებლებს სახელმწიფო ჯამაგირი დაენიშნოს. იმედია, მართებლობა შეიწყნარებს ამ თხოვნას და დააკმაყოფილებს მ. რომანოზის და მისი მეუღლის ქ-ნ ანუსიას სასიკადულო მისწრაფებას.

— იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელმა ძმობამ ამ სააღდგომოთ ხუთიათასი ცალი ბროშურა-გამოსცა ხალხში უფასოთ დასარიგებლათ სახელწოდებული „ქეშმარიტად აღსდგა“. როგორც ვტყობილობთ ხალხი კმაყოფილი დარჩენილა ამ ამბით. შარშან სააღდგომოთ იმავე ძმობამ მეორე ხუთიათასი ცალი ბროშურა „ქრისტე აღსდგა“ დაარიგა მუქათათ.

სასულიერო სამოსწავლო უწყების მასწავლებელ ზედამხედველნიც სახელ. სათათბიროს გაუთანასწორებია ჯამაგირით ზეპენსიით სამინისტროს უწყების მასწავლებლებთან.

მისმა მეუფებამ ნება დართო იმერეთის სარწ. გან. ძმობას გამოსცეს საეკლესიო სახმარებლად ხუტური ნუსხით დიდმარხვის პირველ და უკანასკნელ კვირიაკეში სახმარი წიგნები და ეს გარემოება აცნობა სინოდის კანტორას.

ენკენისთვიდან ჩვენ სასულიერო სასწავლებელს ორი კლასი ემატება, ასე რომ მეოთხე კლასიდან მოსწავლენი უკვე თბილისის აღარ წავლიან. სასწავლებლის პროგრამა შეცვლილია.

უწ. სინოდთან ახლად დაარსდა და უმბლდესად დამტკიცებულ იქმნა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების „წინასწარი საბჭო“, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნა ფინლანდიის მთავარ-ეპისკოპოსი სერგი, ხოლო წევრებათ ევლინელ მთავარ ეპისკოპოსი ანტონი, და ევლოგი ხოლომის ეპისკოპოსი, სანამ სინოდის

წევრებათ დარჩებიან, სახ. საბჭოს წევრი დეკ. ტ. ბუტკევიჩი დ. ს. ს. მიხაილ ოსტროუმოვი და აღმოსავლეთ ეკლესიების ისტორიკოსი პროფესორი ი. სოკოლოვი.

საბჭომ უნდა განიხილოს ყოველ კრების წინასწარ კომისიის ნაშრომი და მოამზადოს კრებაზე წარსადგენათ.

ამ ჟამათ იმერეთის ეპარქიაში სამი სამღვდლო ადგილია დაცლილი ორი სოფ. ხრეთში და ერთი შროშაში.

პატრიარქობის აღდგენის აქტი, რომელიც მოსალოდნელი იყო აღდგომის პირველ დღეს, არ გამოცხადებულა. როგორც ამბობენ მაღალ სასულიერო სფეროებში ეს მოხდა შიშის გამო პროტესტისა იმ მღვდელმთავრების მხრით, რომლებიც არ თანაუგრძობენ არასრულუფლებიან პატრიარქის დადგინებას და რომლებიც დაუყონებლივ მოითხოვენ პატრიარქის აღრჩევას—თანახმად კანონიურ სჯულისა— ეპისკოპოსთა კრების საშუალებით და არა სინოდის ობერ-პროკურორის ჩვენებით.

ეპისკოპოსს გერმოგენს სინოდმა ნება არ მისცა საზღვარ გარეთ გასვლის და წმ. ადგილებში მოგზაურობის მოსალოცავათ. უარის მიზეზი, როგორც ამბობენ, — იმაშია, რომ ეპ. გერმოგენმა საჩივრით არ მიმართოს მსოფლიო პატრიარქს სინოდის უკანონო მოქმედებაზე.

როგორც ისმის ილიოდორი პეჩორის მონასტრის წინამძღვრათ ინიშნება კოლის ნახევარ კუნძულზე, არხანგელის გუბერნიაში.

სინოდის საზაფხულო შემადგენელობა უკვე გამორკვეულია. ამ შემადგენელობას შეიძლება მსწავლეულთა შემადგენელობა უწოდოთ. დასახელებულთა: საქართველოს ექსარქოსი ინოკენტი,

აღესის არქივისკ. დიმიტრი, საღვთისმეტყველო საგნების დოქტორი არსენი ნოვეგოროდელი, პსკოველი ალექსი. ეხლანდელი წევრებისაგან რჩებიან შორე წინასწარი კრების საბჭოს წევრები ფინლიანდელი სერგი და ვოლინელი ანტონი.

ეპისკოპოსი ელოგი ამ შემადგენლობაში არ შევა, მაგრამ კრების წინასწარ საბჭოს წევრათ მაინც დარჩება.

(V. P.)

თ. იტია დადიანის წერილი.

ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ეპისკოპოზი ლეონიდის წერილები. ამ წერილებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და ამისათვის უმორჩილესათ ვსთხოვ ბ. რედაქტორს დაუთმოს „კოლხიდაში“ ადგილი ამ ჩემს განმარტებას.

ყოველადსაღვდელი ეპისკოპოზი ლეონიდის წერილებში დამბეზღებულს მეძახის და მასთან ვრცლათ აღნიშნავს მრავალ სხვა გარემოებას, რომელსაც მხარს უჭერენ ბევრი სხვა ავტორები და უკანასკნელნიც საზიზღრობას უწოდებენ ჩემს მოქმედებას. ყოველივე ეს მაწუხებს და მაწუხებს მისთვის, რომ ნამდვილათ არაფერი მაგის მგზავსი არ მომხთარა ჩემის მხრით. ნახარებოვოს მონასტრის საქმის შინა-არსს რომ მოკვებ და ვრცლათ ვილაპარაკო ამაზე—შორს წამიყვანს და ეს ჩემთვის შეუძლებელია ფიზიკურათ, როგორც მოხუცის და ავადმყოფი კაცისათვის, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ჩემი ლაპარაკი სრულიად არ შეეხება ანტონ კუონდიდელს I-ს, არამედ შეეხება კუონდიდელ ანტონს III-ს, რომელიც ჩემი კვიდრი ბიძა იყო და აღმზღელიც. პირველათ სწავლა მან დამაწუებია ნახარებოვოს მონასტერში და თუ ამ მონასტრის შესახებ ვინმე ღვედლოთგანს და არა მთავრობას, ორიოდ სიტყვა მივსწერე, — მე არა მგონია, — დიდი დანაშაულობა იყოს.

მინდა განსაკუთრებით აეუხსნა საზოგადოებას თვით შემთხვევა ჩემს მიერ საჩივარზე ხელის მოწერისა, რომლით შესაძლოა საზოგა-

დობამ მე არ გამამართლოს მაგრამ ზნეობრივით მე ჩემს თავს არა ვრაცხ დამნაშავეთ და, აი, რისთვის.

პატივცემულ საზოგადოებას მოეხსენება, რომ მე ვარ ზოხუცებული და თან ავადმყოფი კაცი, რის გამოც უფრო მეტი ხანი ჩემი ცხოვრებისა ლოგინათ ვარ. გასულ 1911 წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, შემოიტანეს ამბავი, რომ ჩემ სანახევათ არის მოსული ვილაც ბერი და სურს პირდაპირ მნახოს. თუმცა ჩემთვის საძნელო იყო ავადმყოფობის დროს საწოლს ოთახში მიმელო, მაგრამ ბერის მეტისმეტმა სურვილმა დამათანახმა და მივიღე. მიამბო, რომ ლეონიდე ეპისკოპოზი თქვენ მონასტერს გართმევთო, არა მაქვს დაწერილი, რომელზეც ყველა თქვენმა მონაწილეებმა ხელი მოაწერა და თქვენც მოაწერათო. თუმცა ვუპასუხე, თვითონ შევეკითხები ეპისკოპოზს-მეთქი, მაგრამ შემდეგში ბერის დაჟინებითმა მოთხოვნილებამ მაიძულა გამომერთმია დაწერილი საჩივარი, ხოლო საჩივრის წაკითხვა სისუსტის გამო ვერ შევიძელი და ბერმა თვითონ მიჩვენა ბოლოს ხელ მოწერილი ჩემი ძმის თ-ის ივანე დადიანისა, გრიგოლ დადიანისა, და ჩემი ძმისწულის ნიკოლოზ (კოკი) დადიანისა. იმ მოსახრებით, რომ უკანასკნელი ხელის მოწერით გაითვალისწინებდენ ადრე საქირო სიფთხილეს, — მეც ხელი მოვაწერე ჩემთვის მათ მიერ საგანგებოთ დატოვებულ ადგილზე და ამგვარათ ბერი მოვიშორე. სრულებით არ წამიკითხავს საჩივარი და არც შემეძლო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ წაკითხვა სისუსტისა გამო.

ამ საგანზე მქონდა თითქმის უკმაყოფილო ლაპარაკი ჩემს ძმისწულს ნიკოლოზ (კოკი) დადიანთან, რომელმაც კერძო საუბარში დანამდვილებით მითხრა, რომ საჩივარი თითქმის მის რედაქციას ქვეშ შედგენილა, ვინაიდან პირველჯერ ბერის მიერ მასთან ხელმოსაწერათ მოტანილი საჩივარი, ამ ახლანდელზე უფრო მწვავეთ ყოფილიყო შემდგარი და ის, მისი აზრით არაფერ საწინააღმდეგოს არ ხედავს ამ საჩივრით, თვინიერ ჩვეულებრივი

განსაჩივრებისა ამა, თუ იმ მთავრობის პირის განკარგულებისა.

ამ პირობებში, მგონია, არ არის სამართლიანი ყო-ეპისკოპოზი ლეონიდის მხრით მართლ ღმერთან გამოდაცემა და მთელი მონაწილეობის მიმღები გვაროვნობის გარეშე დატოვება, მით უმეტეს, რომ განცხადებული საჩივარი ლეონიდს დასაწყისს არა ჩემგან, არამედ სრულებით იმ პირებისაგან, რომლებიც ყო-ლეონიდი დასტოვა კიბვის გარეშე და მართლ მე, სრულიად უდანაშაულო, მოხუცი და ივადმყოფი კაცი ამილო ნიშანში.

ეპისკოპოზი ლეონიდე თავის წერილში ჩემდამი, სხვათა შორის, მწერს—ვინემ დასაბეზღებელ საჩივარზე ხელს მოაწერდით, შემკითხებოდიოთ. მე კი ვიტყვი—ვინემ ყო-ლეონიდე აღძრავდა შეამდგომლობას ნახარებოვოს მონასტრის სამრევლო ეკლესიით გადაქმნაზე, —უფრო სამართლიანი იქნებოდა, თვითონ პირველ შეეკითხა საგვარეულოსთვის, რომ საქმე თავიდან ყოფილიყო დაქერილი და ამდენ არა სასურველ შედეგს არა ქონოდა ადგილი; მაშინ ნათლათ დაინახავდა მთელი საზოგადოება, თუ რამდენათ მხარს დაუჭერდა ჩვენი გვარეულობა მწყესმთავრის სურვილს და დააფასებდა მას.

თავის დღეში არ მივცემდი ჩემს თავს ნების ამდენი უკმაყოფილება შემემთხვია მათთვის, როგორც ქეშმირიტი მორწმუნე და მოხუცებული კაცი, განსაკუთრებული დაფასებით და პატივისცემით ვიგულვებდი ყველა მათს წინამოადგილეებს, მიუხედავად ნათესაობისა, რომელი აზრითაც ვარ ახლაც შესახებ ყო-ლეონიდეს მიმართ და ვიქმნები ვიდრე საფლავის კარამდი.

პატივისცემით თავადი

ოტია ელისბარის ძე დადიანი.

„კრების წინასწარი ბჭობა“

(Предсоборное совѣщаніе).

(ნარკვევი ჟურნალ-გაზეთებიდან).

8 მარტს, საღამოთი, ფინლანდიის მთავარეპისკოპ. სერგის თავმჯდომარეობით მოხდა

ახალი კრების წინასწარი საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარემ, მთავარეპ. სერგიმ. წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც მიულოცა საბჭოს წევრებს ადგილობრივი კრების მოწვევისათვის წინასწარ გამზადებული შრომის განსახლებლად და გამოსთქვა იმედი, რომ ახალი საბჭოს შრომა აღმოჩნდება წარმატებული და რომ კრების საკითხმა დასასრულ სასურველი გადაწყვეტილება მიიღო. მთავარეპ. სერგიმ ქვემოთ აღნიშნა, რომ წინანდელი კრების საწინასწარო საკრებულო (предсоборное при-сутствіе) მუშაობა დაიწყო 8 მარტს 1906 წ. ამავე დღესვე ახალმა საბჭომ მიჰყო ხელი ახალი თვის შრომასაც.

წევრმა—საქმის მწარმოებელმა, უწ. სინოდის კანცელარიის გამგის თანაშემწემ ს. გ. რუნკევიჩმა წაიკითხა უმაღლესი ბრძანება ამ კრების წინასწარი საბჭოს დაარსებაზე და უწ. სინოდისაგან არჩეული საბჭოს წევრების დამტკიცებაზე. ამის შემდეგ ს. გ. რუნკევიჩმა ილაპარაკა დაწვრილებით 1906 წ. კრების საწინასწარო საკრებულოს მოქმედებაზე. საკრებულოს დროს მუშაობდა 7 განყოფილება: 1) ადგილობრივ კრების შემადგენლობაზე, კრებაზე საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესზე და ცენტრალური საეკლესიო გამგეობის გადაკეთებაზე; 2) რუსეთის დაყოფაზე საეკლესიო ოლქებათ და მათ ორგანიზაციაზე და აგრეთვე ადგილობრივი საეკლესიო გამგეობის გადაკეთებაზე; 3) საეკლესიო სამსჯავროს ორგანიზაციაზე და ქორწინების საქმეების შესახები კანონების გადათვლიერებაზე; 4) მრევლისა და საეკლესიო კუთვნილების შეძენის წესზე, საეპარქიო კრებებზე, სამღვდლო მოსამსახურეთაგან მონაწილეობის მიღებაზე საზოგადო და წოდებრივ დაწესებულებებში; 5) სასულიერო სასწავლებლების გადაკეთებაზე; 6) სარწმუნოების შესახებ: ერთმორწმუნეობა, ძველ ადათების მიმდევარებაზე („სტარობრიადებზე“) და სხ. და 7) ზომები მართლ-მადიდებელ სარწმუნოების და ქრისტიანული კეთილ-მსახურების დასაცავი ზომების შესახებ უმართლო სწავლისა და განმარტებისაგან. უწ. სინოდმა ვერ მოასწრო

საკრებულოს ყველა დადგენილებათა განხილვა. მან მოიწონა შემდეგი დადგენილებანი საკრებულოსი: 1) შემადგენლობა რუსეთის ეკლესიის კრებისა; 2) გადაკეთება რუსეთის ეკლესიის ცენტრალური გამგეობისა; 3) დამოკიდებულება მართლ-მადიდებელი ეკლესიის უმაღლეს მთავრობასთან და ხელმწიფე იმპერატორთან 4) რუსეთის ეკლესიის ოლქებათ დაყოფა; 5) საეპარქიო ეპისკოპოზების არჩევის წესები; 6) საეპარქიო გამგეობის გადაკეთება; 7) საეკლესიო სამსჯავროს გადაკეთება და 7) მართლ-მადიდებელი მრევლის მოწყობა.

ყველა ეს დადგენილებანი უწ. სინოდმა მიიღო და დაამტკიცა.

შემდეგ ამ ისტორიული ცნობის მოსმენისა, ახალმა წინასწარ კრების საბჭომ განიხილა საკითხი, თუ როგორ უნდა ეღვაწა მის მომავალში.

წინასწარ კრების საკრებულო 1906 წ. შესდგა უწ. სინოდთან და მაშასადამე სინოდი ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს მის ნაშრომს.

ამავე დროს უმაღლესმა საეკლესიო მთავრობამ მოასწრო ამ ნაშრომის მხოლოდ ნაწილის განხილვა. ეს ნაშრომი მოთავსებულია ოთხ ვეებერთელა ტომში, რომელიც წინდაწინ უნდა დაამტკიცოს სინოდმა და მერმე უნდა გადასცეს განსახილველად მომავალ კრებას. პროექტებს თან უნდა ახლდეს განსაკუთრებული განმარტებითი ბარათები (объяснительныя записки).

შემდეგი სხდომა ბჭობისა მოხდება ნაადვლოდ.

დ. კ. ა—ტყ.

საზარბაგო უკუღმართი მსჯელობა.

(პასუხად ბ. ნაქუღბაქველ მოძღვარს).

თქვენს პატივცემულ გაზეთში 1912 წ. № 9 დაბეჭდილია შესანიშნავი წერილი სათაურით: „თ. ჟორდანიას უკუღმართობის შესახებ“; წერილის ავტორს, არ ვიცი კი რატომ, თავისი სახელიც დაუმალოვს და გვარიც.

უჩინარი ავტორი აუწყებს ქვეყანას, რომ „თ. ჟორდანიას რუსული (sik) წერაკითხვის სწავლება უწარმოებია პირველი (sik) სამოსწავლო წლის დამდგვიდანვე“ და ამით „ქართველების გარუსებაში ვოსტორგოვისთვისაც გაუსწვრიაო... ასი (sik) თაბახით მავნეაო ქართული (sik) შკოლისთვის (ვიდრე ვოსტორგოვიო); ქართველების გარუსების საქმეში თვით ვოსტორგოვს თავზე გადაახტაო

მერე რაზე აფუძნებს უჩინ-მაჩინიანი ავტორი ასეთს საოკარს ჩემს უკუღმართობას?—აბაკარგათ დააკვირდით..

„შეურყვევლ დოკუმენტად“ ჩემის „საარაკო“ უკუღმართობისა მოჰყავს „ფოთის სასაფლაოს ერთკლასიანი (sik) სამრველო შკოლის (საკლასო) 1901 წლის ჟურნალი“, სადაც იმ შკოლის მასწავლებელს თავისი გაკვეთილი ასე ჩაუწერია: „7 Окт. 1901 г. I Отд. По рус. яз. изучали слово „Лапа“ иже: 15 Окт. I Отд. По Рус. яз. Списывали Слово „Лапа“. აქიდან ცხადიაო, რომ „თ. ჟორდანიას ლექსიკური განყოფილება მეტ ბარგად მიუმჩნევია და რუსულ წერაკითხვის სწავლება უწარმოებია პირველი სამოსწავლო წლის დამდგვიდანვეო“.

დიდათ უკუღმართული დასკვნაა! ამ ფაქტიდან (თუ კი უჩინარი ავტორის რწმუნება დაიჯერება) ყოველი საღი გონება მარტო ასეთ დასკვნას გამოიტანს: მასწავლებელი იმ სკოლისა მოქცეულა უკანონოდ. საბჭოს გეგმა არ დაუცვავს, უფროსების ბრძანება არ შეუსრულებია, კანონზე გადახტარა. ამის შეტი სხვა დასკვნა ამ „ფაქტიდან“ არას გზით არ გამოიტანება.

ნათქვამია: მაჩაბელმა დააშავა და ურის ფეხი მოსკრესო. ბატონებო, მასწავლებელს დაუშავებია, უკანონოდ მოქცეულა. —მე მახდევინებენ! ეს რა სამართალია? ვინც დააშავა, იმას მოსთხოვეთ. მე რა შუაში ვარ?

დამნაშავე მაშინ ვიქნებოდი, თუ რომ „უჩინარი“ ავტორი ან მასწავლებელი დაამოწმებენ წერილობითი საბუთით, რომ მან ეს

დანაშაული ჩემი ბრძანებით ჩაიდინა. ღმერთმა მაშოროს ამისთანა „ბრძენების“ გაცემა!

მაშ რემ გააბედინა მასწავლებელს ასეთი უკულმართობა—ეგებ იკითხოთ? ამაზე თვით იმ მასწავლებელმა გიპასუხოთ. მე კი ასე მგონია, რომ ის მასწავლებელი სამინისტრო სკოლაში იყო ნასწავლი და ალბათ, როგორც იქ ასწავლიდენ, აქაც ისე დაუწყო სწავლება ბავშვებს გამოუცდელით, იმავე გეგმაზე, იმავე მეთოდით. სპეციალური პედაგოგიური განათლება მას არ მიუღია და პირველ ხანს ამისთანა მასწავლებელთ ბევრი შეცდომა მოდით.

ეგებ მკითხოთ, რატომ დროზე ვერ შენიშნეთ, როგორც ეპარქიის მეთვალყურემ და ის მასწავლებელი სწორ გზაზე არ დააყენეთ?

ამაზე მოგახსენებთ: ეპარქიის მეთვალყურე სამ წელიწადსაც ვერ მოასწრობს პირადად ინახულოს ყველა სკოლები; მას ჰყავს თანაშემწენი: პირველად თვით გამგე სკოლისა (მაშინ სკოლას განაგებდა, რამდენად მახსოვს, განვითარებული სემინარიის სტუნდენტი მღვდელი კლიმენტ ჯანტურაია, კაცი უბიწო, განათლების მოტრფიალი); მეორედ მთელი კრებრლი ტაძრისა; მესამედ ადგილობრივი ბლადოჩინი და მეოთხედ მაზრის მეთვალყურე (დეკ. კაპ. გაწერელია, ცნობილი გამოცდილი პედაგოგი, ფრიად განვითარებული, განათლებული). ამათ ყველას ვალდებულება ადევთ კანონით მეთვალყურე ადევნონ, რომ სკოლაში კანონი არ ირღვეოდეს, სწავლა პროგრამაზე მიდიოდეს. არც ერთს ამ თანამდებობის პირთაგანს ჩემთვის ეს გარემოება არ მოხსენებია უსათუოდ იმ მიზეზით, რომ იმ მასწავლებელს ამისთანა დანაშაული არ ჩაუდენია, რომელსაც ძალად ატვირთებს „ნაქუბაქვეელი მოძღვარი“.

როგორ თუ არ ჩაუდენიაო—მეტყვიო!

აი როგორ: ხშირად სკოლაში ერთის მაგიერ ორი ჯგუფია პირველ განყოფილებაში. პირველ ჯგუფს შეადგენენ ახალმიღებულები, ხოლო მეორე ჯგუფს ის ბავშვები, რომელნიც წინა წლის შუაწლიდგან დაიწყეს სწავლა, ან ცოტადდენ მომზადებულნი შემოვიდნენ სკოლაში. უსათუოდ ფოთის მასწავლებელი სწო-

რედ ამ მეორე ჯგუფს ასწავლიდა რუსულ წერას ოკტომბრის თვეში და არა პირველ ჯგუფს. ასე რომ არ ყოფილიყო და მასწავლებელს ასეთი უკულმართობა შემოელო, ეს გარემოება არას გზით არ გამოეპარებოდა არც მ. კლიმენტ ჯანტურაის, არც დეკ. კაპიტონ გაწერელის და არც ბ. ი. ფანცხავას, რომელიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა მოხსენებულ სკოლის განვითარებას, რადგან ის სკოლა ფოთის ქალაქის ხარჯით ინახებოდა, ხოლო ბ. ფანცხავა ქალაქის თავის თანაშემწე გახლდათ და თან წევრიც ფოთის ეპარქიის საბჭოსი. მართლა რომ ხსენებული უკულმართობა იმ სკოლაში ჩაედინათ, ესენი მე მაცნობებდენ, ხოლო მე ფოთის საბჭოს მოვახსენებდი და უკულმართი მასწავლებელი სამაგალითოდ დაისჯებოდა. სახეში უნდა ჰქონდეთ ისიც, რომ პირველ განყოფილებაში ჯგუფები (ГРУППЫ) ბევრ სკოლაში მინახავს, რადგან მასწავლებელნი ბავშვებს შუა წელიწადშიც იღებდენ სკოლაში ბავშვებისგან მომეტებულის სწავლის ფულის მიღებისათვის (ხაზინიდან მასწავლებელთ ეძლეოდა იმ დროს სულ მცირე—ას მანეთამდი წელიწადში). ესეც იქონიეთ სახეში, რომ მასწავლებელნი უმეტეს შემთხვევაში ყურანალში აღნიშნავდენ მეცადინეობას მარტო ერთის ჯგუფისას, სხვა ჯგუფებს კი ხშირად ჰმალავდენ სკოლის მთავრობისაგან, რომელიც ჯგუფების ნებას არ აძლევდა მათ.

უკანასკნელ სახეში მიიღეთ ის დიდათ შესამჩნევი გარემოება, რომ, როგორც მოგახსენეთ, სკოლის გამგეთ იყო მოხსენებული განათლებული მღვდელი კლ. ჯანტურაია. იმავე დროს ეს ჯანტურაია გახლდათ ეპარქიის საბჭოს წევრი, როგორც ბ. ფანცხავაც იმავე საბჭოს წევრი ბრძანდებოდა. როგორც საბჭოს წევრთ, რომელთაც ყოველ სხდომაზე შეეძლოთ საბჭოსთვის მოეხსენებიათ მასწავლებლის უკულმართობა, რა თქმა უნდა დიდი ნდობა ჰქონდათ რევიზორებისაგან და ამიტომ მოხსენებულს ფოთის სკოლას ცხარე რევიზიას არ ვუკეთებდით როგორც მე, ისე მაზრის მეთვალყურე. რომ „ნაქუბაქვეელ მოძღვრისგან“ აღ-

ნიშნული მასწავლებლის უკუღმართობა მართლა ჩადენილიყოს, მ. ქანტურია და ბ. ფანცხავა ამას პირდაპირ საბჭოში განაცხადებდნენ, მით უმეტეს რომ ეს უკუღმართობა, როგორც ნაქუბაქვეელი მოძღვარი „პატიოსან სიტყვით“ გვარწმუნებს, გაგრძელებულა 1902 და 1903 წლებში და შემდეგაც, როდესაც ცნობილი ქანტურია იუქველედ განაგებდა იმ შკოლას, ხოლო ბ. ფანცხავა ისევ საბჭოში წვევრობდა.

ამნაირად ზემოხსენებული წერილი, საზიზლარ სალანძღვ სიტყვებით სავსე, წარმოადგენს ცილისწამებათა თაიფულს, მით უფრო საზიზლარს, რომ იგი ვითომ დაწერილია „მოძღვრისაგან“ (თუ „სერთუციანისაგან“?) რომელსაც ვერ გაუბედნია სახელგვარი თავისი გამოემეღაენებია, სხვებისთვის ტალახი უსვრია და თვით სოროში შემძვრალა, იქ განაბულა...

უჩინმაჩინის ავტორის ზნეობრივი ფიზიონომია უარესად გაიმურება თქვენს თვალში, თუ დააკვირდებით იმ გარემოებას, რომ იგი ქებადიდებით ამკობს იმ ცილისწამებელთა „ლომობიერებას“ (ბ. გოგებაშვილისას და ი. ფანცხავასას), რომელნიც ჩემ საწინააღმდეგოდ გამოვიდნენ ჩემის სახელის გასატყნათ, მაგრამ თვითონ დაუმტკიცდათ ცილისწამება („სახალხო გაზეთი“ 1912 წ. თებერ. და მარტი, აგრეთვე „ცნობის ფურც.“ 1905—1906 წ. წ.), და თან ჰგმობს უშვერად ჩემს „საარაკო კადნიერებას“: რაო და როგორ გაუბედე და პასუხისგებაში აძლევო „დედა-ენის“ ავტორსო! რა თქმა უნდა ჩემი „გენერლობაც“ არ დაივიწყა... თავხედობა და გაკადნიერება ამაზე ზენით განა აიწვევა!

იმასაც კი მაყვედრის ეს ჩემ ცილისწამებელთა ერთგული ვეჭილი: „როგორ ბედავ თავის (თუ ფეხის?) მოღვაწეობაზე ხმის ამოღებასო“ და სხ. და სხ.

ბატონებო, ყველა სას. სასწავლებელში კი არა, ერთ სასწავლებელში რომ ერთ-ერთს იმ იაყობთაგანს ქართულ ენის კათედრა დაეარსებია, ან მეგრულათ დაბეჭდილი ლოცვენები შკოლებიდან გადაეყრევინებია, უჩინმაჩინი ქებადიდების ზესქნელამდი აიყუანდა მათ.

მაგრამ რა კი ეს და მრავალი ამისთანაები იმისთანა კაცის ხელით გაკეთდა, რომელიც იმ „უჩინარს“ აუთვალისწუნებია „ინტერესით“, ამიტომ ლაპარაკის ნებასაც არ მადლევს ჩემს ხანგრძლივს ნაყოფიერს მოღვაწეობაზე ქართულ ენის სასწავლებლებში გასაბატონებლად! თვითონ ჭორებით ავსებს ქვეყანას, მე კი პირზე ხელს მათარებს: არ გაბედო, თავი არ იმართლოო. ასე თვალებს უბნელებს კაცს შური და ბოროტება! ასეთი ნაყოფით იცვება დღეს „ჩვენებური“ პრესა!

ორიოდ სიტყვაც: ბ. უჩინმაჩინი რომ ქართველების გარუსებას მბრალებს, აი რა საშუალებით გამირუსებია ქვეყანა: 1) ქართული ენის კათედრის ქაქანებაც რომ არ ყოფილა ასის წლის რუსთა მმართველობის განმავლობაში, ჩემი პროექტით და მოხერხებით ქართულ ენის კათედრები დამიარსინებია ყველა სასულიერო სასწავლებელში (გავარუსე!), 2) სემინარიაში რომ გადაველი იქაც ქართული ენა შემომიღია **სავალდებულო საგნად** შეიდი გაკვეთილით და სახელმწიფო ჯამაგირით (გარუსებაა განა!); 3) მერე ეს შეიდი გაკვეთილი ქართულ ენისა ცხრად გამიზრდია (გამირუსებია!); 4) შემდეგ ეს ცხრაც **თერთმეტად** გამიზრდია (გადამირუსებია!); 5) უკანასკნელ ის თერთმეტი ქართულ ენის კათედრად გადამიქცევია (გარუსებაც ასე უნდა!); და 6) სამრევლო შკოლებში ქართული ენა გამიბატონებია: 1885 წლის გეგმა გამიტარებია, სადაც ქართულს ორჯერ მეტი გაკვეთილი აქვს, ვიდრე რუსულს (მ. ფოსტორგოვზე შორს წავსულვარ ქართველთ გარუსებაში!) 7) სამეგრელოს შკოლებში მეგრულ ლოცვენებს რომ გვაჩეხებდნენ და ქართულ ენას აუქმებდნენ, ეს მეცადინეობა გამიბათილებია პატიოსან კაცების დახმარებით. ხუთჯერ ამდენს სხვა საქმეებს ჩამოეთვლიდი, მაგრამ ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენათ დასაჯერებელია ჩემი გარუსების მიმდევრობა, ეს საზიზლარი ცილისწამება „ნაქუბაქვეის მოძღვრისა“.

შეინანეთ, მამაო „ნაქუბაქველო მოძღვარო“, თქვენი დანაშაული, სახელგვარი

თქვენი გამოაცხადეთ, ბოდიში მოიხადეთ, სა-
ნამ თქვენს სალანძღავ-სათრევ წერილს სხვა
მსვლელობა არ მიეცემა...

თვედორე ჟორდანია.

შინაური მიმოხილვა.

განშორდა თუ არა საქართველოს მიწა-
წყალს მეფის მოადგილე ყოვლად შესანიშნავი
ადამიანი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზისძე,
იმწამსვე ჩვენში გამეფდა ისეთი რეჟიმი, რო-
მელმაც სულერთიანად შეხუთა ცხოვრება და
ყოველიფერს, რასაც კი აჩნდა ქართული სუ-
ლი და ხასიათი, დაუწყეს უმოწყალოთ დევნა
და შევიწროება. და ასეთი მიმართულება დაე-
ტყო უფრო ჩვენში სწავლა-განათლების საქ-
მეს.

ვის არ ახსოვს მაშინდელი კავკასიის ოლ-
ქის მზრუნველის იანოვსკის ცირკულიარები და
მათ შესახებ ნიჟიერად დაწერილი უკვდავი ილია
ქავკავაძის სტატიები, სადაც ავტორი უმტკი-
ცებდა ბიუროკრატების მამათმთავარს, რომ კა-
ცობრიობას დღესვე უკვე აქსიომათ აქვს აღიარებ-
ული, რომ განათლება, აღზრდა ხალხს სა-
კუთარ მის ღვიძლ დედაენაზე უნდა მიეცესო,
რომ პოლიტიკის გარევა ამ წმიდა, საღმრთო
საქმეში უღიადესი ბოროტება და ძალმომრეო-
ბააო.

მაგრამ ვინ გაუგონა ამ დიდ მამულიშვილს,
ან აკაკის, ან გაბრიელ ეპისკოპოსს, რომ მუ-
დამ საქვეყნოდ ამ აზრს უტრიალებდენ და
ქადაგობდენ, ვინ შეისმენდა რასმე ბიუროკრა-
ტიას, რომელსაც რუსიფიკაციის სამსახური
ერთ დიდ სალოცავ საგნად გაეხადა ჩვენში.

მაგრამ ჩვენთვის ეთქვათ აქ. ბიუროკრა-
ტიას მართლაც არ ესმოდა, რომ ქართველი
მამულიშვილები ქვეშარიტებას აღიარებდენ. რა-
საკვირველია, კარგათ ესმოდათ, მაგრამ ქვეშა-
რიტებას რა ადგილი აქვს იქ, სადაც პოლი-
ტიკაა გამეფებული.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო დირექტორ-
მა ლევიცკიმ „კურსი“ შეადგენდა, ეგრეწოდე-

ბულ, მუნჯურ მეთოდზე აგებული და რუსი-
ფიკაციის იდეით გატაცებულმა ქართველ მო-
ზარდ ყმაწვილობას ტვინი გამოუღაყა. „მრავალი
მაგალითებია ჩვენშიო. წერს ერთი მა-
შინდელი სოფლის შკოლაში გაზრდილი, რომ
შკოლაში შესვლამდის ყმაწვალის გონიერი იყო
და შკოლაში კი რაღაც მიზეზებით გამოყე-
ყჩდა. თუ ასეთებს დროით გაიყვანდენ შკო-
ლიდან, იგინი კვალად გონიერი და ნიჟიერ-
ნი ხდებოდენ საოჯახო საქმეებში. ცხადია იმათ
უნიკობის დაღი დასვა ჩვენმა მაშინდელმა შკო-
ლამ. დიდი მესხიერება უნდა ქონებოდა ყმა-
წვილს, რომ ლევიცკი—ვოლპერ-დავითის აშე-
ნებულ ლაბირინტიდან თავი დაეხწია. მახსოვს
თითქმის მთელი შინაარსი განთქმული „კურ-
სისა“ თან-და-თან ახლა ვირკვევ გონებაში ჩა-
დებულ სიტყვებს და აზრებს.“*)

დაბრმავებულნი რუსიფიკატორნი ვერ ამ-
ჩნევდენ, რომ ცრუ და მავნე აზრებით იყვენ
გატაცებულნი, რომ ისინი მიზანს თავის ღლე-
ში ვერ მიაღწევდენ, რადგან ქართველების გა-
რუსება ყოვლად წარმოუდგენელი აზრია სა-
ქართველოში და მაშასადამე, მთელი იმათი
„ღვაწლი“ და კაპან-წყვეტა მხოლოდ წყლის
ნაყვია და მეტი არაფერი... ფული... ქვეყნის
ფული კი ტყვილა უგანაჩენოთ იხარჯება და
იფლანგება...

საქართველოს ზოგიერთ ქალაქში ლეკ-
ტორნი საჯაროდ ლექციებს კითხულობდენ. მაგ-
რამ ქართულ ენაზე კითხვის ნებას არ იძლე-
ვიან. შავი ქვის მრეწველთა კრებაზე თითქმის
ყოველთვის თხოვნით მიმართვენ ხოლმე მრე-
წველნი, სადაც ჯერ არს, რუსული არ გვეს-
მის და ნება გვიბოძეთ ქართულად ვილაპარა-
კოთ ჩვენ საკუთარ საქმეზეო. ამ შემთხვევაში-
აც სრულიად ამაოდ იხარჯებიან მრეწველნი.

უხეიროდ მოწყობილი პირველდაწყებით
და საშუალო განათლების მომცემი სასწავლებ-
ლები საქართველოში ხომ თითხე ჩამოსათყლე-
ლია. მაგრამ ეს საერთო დიდი სენია მთელ
რუსეთში გამეფებულ რეჟიმისა, რომელიც

*) იხ. „განათლება“, № II 1912 წ. წერილი
„იდეალიდან სინამდვილეში“.

სწავლა-განათლებისთვის ძალიან ცოტას ხარჯავს შედარებით იმასთან, ვიდრე მილიტარულ საქმეებზე.

ეს ხომ ადვილი ასახსნელია...

მაგრამ მაინც გასაოცარია, რომ იმ უმდიდრეს, ყოვლის დოვლათით, სიტურფით შემკულს ედემს, სადაც მჭიდროთ მოსახლობენ მეტად ცოცხალი ერნი, რომელთაც ოთხი ათასი წლის კულტურული ცხოვრება უწარმოებიათ მთელი ქვეყნიერების თვალის წინ, ჯერაც არ ღირსებია უნივერსიტეტი, პოლიტექნიკუმი და უმაღლესი კომერციული.

რამდენი ხანია თფილისში უნივერსიტეტის გახსნის უამდგომლობა აღიძრა, თფილისს სხვა ქალაქებმა და დაწესებულებებმაც მხარი მისცეს და დღეს დიდი ფულიც არის თავმოყრილი, მაგრამ უნივერსიტეტის გახსნას ჩვენში მაინც არა ეშველა რა.

საქართველოში რომ თავის დროზე უნივერსიტეტი გახსნილიყო, დარწმუნებული ვარ, იგი შეიქნებოდა მეცნიერების, ნამდვილ განათლების დაუშრეტელ, მჩქეფარე წყაროდ, რომელიც ბევრ ჩვენგანს, რომელთაც ხელმოკლეობის გამო, თუ ფიზიკური აგებულების სისუსტის გამო არ შეეძლოთ რუსეთში გამგზავრება და ცხოვრება, აქვე, ჩვენშივე შესძენდა უმაღლეს განათლებას და ჩვენებურ ფართე საზოგადოებასაც გულში ჩაუნერგავდა თვით-მოქმედების და განვითარების დიდ წყურვილს.

გარდა იმისა, რომ მაღალი სასწავლებლები, ჩვენში დაარსებული, მეცნიერებას და სწავლა-განათლებას მისცემენ წმინდა დემოკრეტულ ხასიათს, იმათ კიდევ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ ისინი ცხოვრებაში ეკონომიურ დოვლათს და კეთილ მდგომარეობას, კულტურას ქმნიან...

მერე რა არის ამ გულსაკლავი მდგომარეობის მიზეზი?

მიზეზს ბევრს რასმე ასახელებენ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი გახლავთ შიში, შიშობენ, რომ თუ უმაღლესი სასწავლებლები დაიშართა საქართველოში, ქვეყნის მკვიდრი დიდათ წაიწვეს წინ, განათლება და იმის მოძრავე, მე-

ტად ფხიზელს და ნიჭიერ ტემპერამენტს რუსეთის წინააღმდეგ აამოძრავებსო, სრულ განთავისუფლებას მოინდომებსო.

მაგრამ რაღა აზრი აქვს ამ ყოვლად უაზრო შიშს მას აქეთ, როცა აგრეწოდებულ, გამათავისუფლებელ მოძრაობის რდოსაც კი საქართველოში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ გულწრფელად აღიარა, რომ ჩვენი ხსნა რუსეთის ხალხთან მჭიდრო პოლიტიკურ კავშირში არისო, რომ ჩვენი ბედი და უბედობა ისტორიამ რუსეთის ხალხის ცხოვრებას გადააბა და ჩვენთვის, ქართველთათვის არავითარი ანგარიშიც არ არის ცაკლე სახელმწიფო დაფარსოთ და საკუთარი პოლიტიკური ცხოვრება დავიწყოთო.

ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატების გარდა, რომელნიც ცენტრალიზაციის მომხრენი არიან, ყველა ჩვენებური პარტია მოითხოვდა ავტონომიას, რომელიც რასაკვირველია, არ მოასწავებს პოლიტიკურად ცალკე გადგომას და სრულ განცალკევებას...

გულკეთილი.
შემდეგი იქნება.

მიხედეთ სოფლის ხალხს.

(ბ. მანათლის წერილის გამო).

გაზეთ „კოლიხილის“ მე. № 39-ში მოთავსებული იყო ბ. მამათელის წერილი, „მანებელი ჩვეულება, რომლითაც ავტორი ეხებოდა ერთ არა სასურველ ჩვეულებას სოფლათ და გამოსთქვამდა სურვილს მისი მოსპობის შესახებ. სასურველია, რომ ხშირათ იწერებოდეს გაზეთის ფურცლებზე მზგავსი შინაარსის წერილები*). სასურველია, რომ ინტელიგენციის შეგნებული ნაწილი, რომელიც დღეს სოფელს გაურბის, ხშირათ ინახულებდეს თავის მიწის შვილებს და ზოგიერთ მამა-პაპიდან ნაანდერძვე მანენ ზნე-ჩვეულებების მოსპობის შესახებ ბაას

*) ჩვენდა სამწუხაროთ დღევანდელ ქართულ ორგანოებში უმთავრესად ერთმანეთის კონკლამბას და საპასუხო წერილების წერას აქვს დათმობილი ადგილი.
მლ. გ. ა.

გამართავდეს. მაგრამ ვის აქვს სოფლის ხალხის ჯავრი; თუ კი ორი ანბანი ისწავლეს ცა ქუდათ აღარ მოაჩნიათ და დედამიწა ქალბნათ. ბევრი „დიპლომიანი“ პირივიცი, რომ დღიდან თავის სოფლიდან გადაფრენისა, სოფლათ მოსულა სულაც არ უფიქრია და თუ მოსულან როდისმე, თავის სოფლის ხალხს იმდენათ ცნობენ, რამდენათ მე დღეს ჩინეთის ახლ პრეზიდენტს იუანშიკაის. ხალხს იმედი უტრუფდება, გაიძახის აი, ამა და ამ კაცის შვილი რუსეთში დიდ კლასს ათავებს, რომ ჩამოვა რამე საქმეში და გვეხმარება და იქნებ გვეშველოსო; მაგრამ ასეთი მათი ფიქრი უბრალო ოცნებათ რჩება, „დიპლომიანი“ პირებს სწავლის დასრულების შემდეგ მათთვის აღარ სცალიათ, მათი ავ-კარგი არ აინტერესებს და რჩება ანაირად-ხალხი იმედ დაკარგული — უჭირისუფლოთ. მაგალითისათვის მოვიყვან ერთ შემთხვევას: წასული წლის ზაფხულის ინტელიგენტები (ზოგი დიპლომიანი) ეწვიენ სოფელს, მათთან მსჯელობის დროს, სხვათა შორის ჩამოვადე საკითხი სხვა და სხვა დაწესებულებების დაარსების შესახებ სოფლათ ღვთხოვე მათ ასეთი აზრების განსახორციელებლათ სიტყვიერი დახმარება. მათ მომიგეს: „შენ ნიადაგი მოამზადე და შემდეგ დამხმარეც ჩვენ ვიქნებითო“. მე უთხარი მათ, რომ ნიადაგის მომზადებას და ხალხის შეგონებას ჭირდება შრომა და ბრძოლა, თორემ მერე არცერთიც აღარ მჭირდებათ თქო; ამ კამათის დროს ნაცვალმა ამოიარა და ჩვენ ახლო მდგომ ხალხს მიძახა: „ხვალ შკოლის დაარსების შესახებ ყრილობა იქნება და არავინ დააკლდეთო“. ამ დროს ინტელიგენტებმა ერთმანეთს გადახედეს და თქვეს: „ილბალი ესეც, რომ ჩვენ დროს ყრილობა ინიშნებაო“. გათენდა მეორე დღე, ინტელიგენტები ერთის მეტი სადღაც გაიბარენ, მათი ასავალ-დასავალი ვერავენ გაიგო, ის ერთი კი ყრილობას დაესწრო. შეიქნა მსჯელობა, რჩევა-დარიგება შკოლის დაარსების შესახებ, ილაპარაკა ინტელიგენტმაც სწავლა განათლების მნიშვნელობაზე (მეტი რა გზა ქონდა), მაგრამ ბოლოს საქმე მიინც ჩაიშალა ორი სულიერი მამის მეოხებით. მაშინ კი დარ-

წმუნდა ინტელიგენტი, თუ რა ძნელი ყოფილა კეთილი მიზნისთვის ნიადაგის მომზადება სოფლათ და ისიც ერთი პირისგან. დანარჩენებს, რომ შევხვდი შემდეგში და ვკითხე ყრილობაზე დაუსწრებლობის მიზეზი მომიგეს: წინასწარ ვიცოდით, რომ ხალხში განხეთქილება ჩამოვარდებოდა და ამისათვის ხალხის მომდურებას და საყვედურს მოვერიდეთო. ასეთია მათი შრომა და ამაგი სოფლათ და დღიდან ნეტავ თუ კიდევ ხალხის ჭირისუფლებათ გამოაცხადებენ თავს?

სოფლათ ბევრია სამუშევარი, მაგრამ მუშაკნი კი ცოტანი არიან. მაგალითისთვის ავიღოთ ბ. მამათელის წერილში მოხსენებული ხალხის დამღუპველი ჩვეულება. ვინ არ იცის დღეს, თუ რა წესით იციან სოფლათ მიცვალებულის გასვენება; ხშირათ გლეს 200—300 მანეთის ხარჯი არ შევლის მიცვალებულის დაკრძალვის დღეს სადილათ; ფული თუ არა აქვს ადგილ-მამული ან უნდა გაყიდოს ან დააწინდროს და ისე შეასრულოს ეს ჩვეულება. ამ უამათ ჩემ მრევლში ათამდე გლესია, რომლებიც ამ ჩვეულების წყალობით სულს დაფავენ; ადგილ-მამული ზოგს მათგანს დაწინდრებული აქვთ, ზოგსაც სულ გაყიდული, ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებათ და არ იციან თუ რა გზას დაადგენ. ამ დამწვარზე დულარეს ასხამენ მიცვალებულის საწლოს (ალაპის) გადახდის დროს: რაც მიცვალებულის დაკრძალვის დროს გადაურჩა გაუყიდელი ამ დღისთვის ყიდის და ისე ეწვეა ხარჯს; ხარჯი ალაპზე ხშირად 500 მანეთს აღემატება და ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ მიდღემჩი სოფლის ხალხმა ნიეთიერთა წელი ვერ წამოიდგას? ასეთ ჩვეულებებს თან სდევს კი დღის ხარჯი, თითო სოფელში ხშირად ორი-სამი კი დღის გადახდა იციან. მაგალ. 1. მურხურაში (შორაპნის მაზრა) ოთხი კარგი დღე იციან: ამაღლება, გიორგობა, ტეხისობა და ოქონობა, აქედან კარგად მიხვდება პატივცემული მკითხველი თუ რა ძვირათ დაუჯდება ერთ სოფელს ოთხი კარგი დღის ხარჯი. ასეთ შემთხვევებში განა სოფელს არ უნდა მიშველება? მერე ვინ არის პატრონი?

უბირველეს ყოვლისა, ვალდებულია ადგილობრივი მღვდელი, როგორც ხალხთან ახლო მდგომი, უქადაგოს და ურჩიოს ასეთი ფუჭი ხარჯების გაწევა ხალხს, მაგრამ ან რა უნდა ქნას ერთმა გულ შემატივარმა მოძღვარმა, როდესაც ორი-სამი სხვა მეზობელი ღვდლები სხვა ჩანგზე დაიმდებოდნენ? ღვდლებს გარდა განა ინტელიგენცია არ არის ზნეობრივად ვალდებული, რომ მათ დაეხმარონ ასეთი უმსგავსო ჩვეულებების აღმოფხვრაში? დიასაც ვალდებული არიან. მაშ ნეტავ ვიცოდეთ რა უშლის ხელს მათ რომ ხშირად მობრძანდნენ ხოლმე სოფლათ, და ზემორე აღნიშნულ ცუდ და მავნე ჩვეულებების მოსპობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ? სრული დარწმუნებული ვარ, რომ თუ კი იგინი ასეთ შრომას არ მოერიდებიან, ხალხიც მადრიელი დარჩება და მთავრობაც დიდ მადლობას მიუძღვნის. მაშ მიხედეთ სოფლის ხალხს!

მღვდელი გალ. აბესაძე.

რას გვწერენ?

სოფ. სვიმონიანთ ხევს (თიანეთის მაზრა).

სოფ. სვიმონიანთ ხევს აქვს მიწერილი ხუთი სხვა სოფელი თვისგარშემო და მთელი სამრევლო შეადგენს 380 კომლს. ამ სამრევლოს აქვს ერთათ ერთი პატარა შტატის ეკლესია სოფ. სვიმონიანთ ხევში და ისიც ოთხივე მხარეს გახეთქილია კედლები. ეკლესია, რადგანაც პატარა და გახეთქილია და ვერც ყოფნის მრევლს, ეს ყველა კარგა შენიშნა ამავე სამრევლოს მამა გრიგოლ სონღულაშვილმა და მამაშვილურათ ურჩია თავის მრევლს რომ —ახალი ეკლესიის აშენება აუცილებელი საქმეა. მრევლიც თანახმა გაუხდა რჩევაზე თავის მოძღვარს და ამიტომ, მოახდინეს ყრილობა ამ თვის თერთმეტს სოფ. სვიმონიანთ ხევში ეკლესიის გალავანში, სადა განგებ ამ საქმისთვის მოიწვიეს ახმეტეიდან, ბლაღოჩინი, მღვდელი მამა გიორგი ინაევი. მამა ბლაღოჩინმაც შეკრებულ საზოგადოებას მამაშვილური დარიგება მისცა და განუმარტა,

რომ თქვენ ამოდენა სამრევლო ხართ და ასე პატარა ეკლესია თქვენთვის შეუფერებელიაო. მცირედენი ერთმანეთში შოლაპარაკების შემდეგ მრევლმა თანახმობა გამოაცხადა, დაადგინა განაჩენი და ამოირჩია ამშენებელი კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს თვით მამა ბლაღოჩინი გიორგი ინაევი, ხოლო ამის თანაშემწეთ და ხაზინადრათ სამრევლოს მღვდელი მ. გრიგოლ სონღულაშვილი. წევრებათ — თიანეთის მაზრის, მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავალი დ. ნ. ქაჭავაძე და ერთიანეთის ბოქაული ი. ნ. ი. ვაშაძე. გარდა ამისა, ოთხი კაცი თავიანთ შორის ამოირჩია ხალხმა, კომიტეტის წევრებათ. ფულის აკრეფა უნდა განაწილდეს სამათ და ეკლესიის აშენებაც უნდა დასრულდეს სამ წელიწადს. სულით და გულით უსურვებთ ამშენებელ კომიტეტს, მხნეობას, გამჭრიახობას და ამა კეთილ საქმის კეთილად დაგვირგვინებას...

მლ. ნ. ბაკურაძე.

მადლობის გამოცხადება

მ. რედაქტორო!

უმორჩილესად გახვით ნება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეები“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მე და ჩემი მრევლის მხრით ქ. ტფილისის კუკიის ალექსანდრე ნეველის ტაძრის მღვდელს მ. ილია შუბლაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და რწმუნებული ჩემდამო პირველი ახუთის ზედ მიწერილ ღვთისმშობლის ეკლესიის შემოსწირა რამოდენიმე ხელი შესამოსელი, დაფარნები და ხატები, მასთან განუახლა ამავე ეკლესიას მისი და მისი ძმის, ვასილ თევდორეს-ძე შუბლაძის შემოწირული სახარება; ღმერთმა აგონოს სხვა შეგნებულ პირებსაც ამა ეკლესიის წევრთაგანს, ესრეთი გულ-უხვი შემოწირულება გამოიჩინონ!

მღვდელი ამბროსი კუხალაშვილი.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.